საბჭოთა ხელოვნება

ISSN 0132-1307

1980 2

ამირან აბაშილავა

ადამიანი დაბრუნდა

(სამნაწილიანი დრამა)

მოქმედი პირნი

ნინო — მესიკოსი
არჩილი — ნინოს პირველი ქმარი, ქირურგი
ზაზა — მეტსახელად „სტუდენტი", მათი შვილი
ზაზა — თითხმეტი წლის ასაკში
ლევანი — ნინოს მეორე ქმარი, ქირურგი
ირაკლი — ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი
ნუგზარი — შრომა-გასწორების კოლონიის უფროსი
თამარი — ექიმი, არჩილის ასისტენტი
„სუსლიკ ბრავი"
„ჭონდარა"
„ცქიფა"
„ჰინკა" რეციდივისტები
„ბოდმა"
გოგონა
ღამის დარაჯი
ასისტენტი
ზედამხედველი
გერმანელი ეფრეიტორი

ნაწილი პირველი

სცენაზე შემოდის სადად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი. ეს ზაზა რაზმაძეა. მას უკან მოსდევს მომცრო ტანის ახალგაზრდა, ეხეპ ჩვენი დრამის ერთ-ერთი გმირი, — მეტსახელად „სუსლიკ ბრავი" გახლავთ. ზაზა დაახლოებით ოცდაშვიდი-ოცდარვა წლისაა, თუმცა შეხედულება მეტისა აქვს. დაღლილი და მოქანცულია. მათ ხელთ ჩემოდნები უჭირავთ — ჩანს, შორეული მგზავრობიდან დაბრუნებულან: ზაზა შეჩერდა, ჩემოდანი დადგა.

ზაზა. მე დავიბადე აქ, თბილისში ოცდაშვიდი წლის წინათ. სწორედ აქ, ამ ადგილას... ეს ჩემი სახლია. აქ დაიწყო ჩემი ცხოვრება. პირველად აქ ვიგრძენი სიხარული და ბედნიერება, პირველად აქ დავეჯახე სიძნელეებს და ტკივილებს... და კვლავ, სადაც უნდა გადამაგდოს ბედმა, სადაც უნდა მომიწიოს სიცვდილმა, ყოველთვის დავრჩები ამ ქალაქის შვილი და მკვიდრი, — სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი.

ამ სახლში თოთხმეტი წელია არ შევხულვარ, ამ ხნის განმავლობაში თითქმის არაფერი გამიკეთებია.

მე მინდა მოგითხროთ იმაზე, რაც განვიცადე და გადავიტანე. შეიძლება მსგავსი ამბავი თქვენ სადმე წაგიკითხავთ, ან გინახავთ, ან შეიძლება თვითონაც განგიცდიათ.

არის მრავალი მიზეზი ადამიანის ბედის ჩარხის უკუღმა შემოტრიალებისა... მათ შორის ერთ-ერთი პირველი მიზეზია... მაგრამ ამაზე შემდეგ...

* * *

იწუება მოქმედება. მოისმის რახმანინოვის საფორტეპიანო კონცერტი. ნინოს ბინა. სასტუმრო ოთახი და სადარბაზო შესასვლელი. აქვე პატარა ყვავილნარი. გაზაფხულის საღამოა. ნინო ორმოცდახუთი წლის ლამაზი ქალია, ერთი შეხედვით ამდენისაც არა ჩანს. მას საოცრად მეტყველი და დარღვინი სახე აქვს. როიალს მოჯდომია და უკრავს.

ზ ა ზ ა. დედა, დედა!..

(ნინოს თითქოს მოესმა შვილის ძახილი და დაკვრა შეწყვიტა).

ზ ა ზ ა ხმ ა. ჩემზე ფიქრობ, დედა?! შენ, ალბათ, დაიღალე ლოდინით...

ზ ა ზ ა. თითზმეტი წელიწადი... ეს არც თუ ისე მცირე დროა...

ზ ა ზ ა ხმ ა. მე უოველთვის თქვენზე ვფიქრობდი... თქვენთან ყოფნაზე ვოცნებობდი... მენატრებოდით...

ნ ი ნ ო. ჩემი ბრალია, ჩემი!...

ზ ა ზ ა. მე დავრწმუნდი, რომ ზოგ შემთხვევაში ადამიანებს ძალა არ შესწევთ წარმართონ საკუთარი ბედი... ომი იყო მათთვის სანინელი გამოცდა... და ზოგიერთებმა ეს გამოცდა ვერ ჩააბარეს. (ნინო ჩაფიქრდა... მას თვალწინ წარმოუდგა ის დღე, როდესაც... ომი ორიოდე კვირის ფაშუტელი იყო).

ნათდება სცენის მეორე მხარე. რუნაზეის სადგური. მოისმის ორთქმავლების ქშენა, ეშმაკული კივილი. ლიანდაგებზე იცდიან ჩარისკაცებით დახუნძლული ვაგონები. ჩაჭანჭრე დგას ფრონტზე წასასვლელად გამზადებული არმიელი. ის ვიღაცას ელოდება.

ა რ ჩ ი ლ ი. საცაა ეშელონი დაიძვრის, ის კი არა ჩანს, აგვიანებს.

ზ ა ზ ა ხმ ა. არა, კი არ აგვიანებს... ბაქანზე ზღვა ხალხია, ვერ გაირღვია.

ნ ი ნ ო. (ძლივს გამოაღწია) არჩილ!..

ა რ ჩ ი ლ ი. (გაიცინა). ნინო!.. (პაუზა. იგი ნინოს სახის ყოველ ნაკვთს ჩაყურებს, თითქოს ნუღა სამუდამოდ დაიმახსოვროს).

ა რ ჩ ი ლ ი. ნინო... მე დავბრუნდები, უთუოდ დავბრუნდები... მელოდე...

ნ ი ნ ო. დაველოდები... დაველოდები...

ა რ ჩ ი ლ ი. ნინო, გესმის, მე შენ ძალიან მიყვარხარ...

ნ ი ნ ო. ნუ ამბობ ასე, არჩილ... მეტი აღარ შემიძლია...

ა რ ჩ ი ლ ი. ეშელონი დაიძრა...

ნ ი ნ ო. არჩილ... (ჩაიარა უთხრას მაგრამ ელმავლის საყივრმა მისი ვოვანასკენი სიტყვები დაფარა). არჩილ, ზზრიად მომწერე...

ა რ ჩ ი ლ ი. ნინო, შენ იცი, ბავშვს პოუარე...

(გარნის. ეშელონი ტოვებს თბილისს. ბაქანზე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. თვალცრემლიანი ნინო ცხვირსახოცს ქნევით აცილებს მატარებელს. პაუზა).

ნ ი ნ ო ხ მ ა. დაველოდები, დაველოდები...

(პაუზა).

რ ა დ ი ო ს ხ მ ა. „საინფორმაციო ბიურის ცნობა.. ათას ცხრაას ორმოცდაერთი წელი. თხუთმეტი ივლისი“...

* * *

ზ ა ზ ა. მაშინ თეთრმები წელი შეშინარულდა. ომი ჩვენთვის იმ დღიდან დაიწყო, როცა მამა ფრონტზე წავიდა... მანამდე ჩვენ ცუდად არ ვცხოვრობდით... დედა მაშინაც ცნობილი პიანისტი იყო, მაგრ ქირფიგი. მე ვსწავლობდი, ვსწავლობდი მუსიკასაც. ომის დაწყებიდან ყველაფერი შეიცვალა. მამაჩემისაგან არაფერი ისმოდა... მე კი ველოდი, ველოდი ცხადში და სიზმარშიც... და რატომღაც მჯეროდა, რომ ომი უეჭველად დამრუნდებოდა.

ნ ი ნ ო. ნუთუ, შენ ასე ჯერობამდე, მიხი დაბრუნების?!

ზ ა ზ ა. მჯეროდა, დედა, მჯეროდა...

* * *

ზ ა ზ ა. აი, ოცივ დამთავრდა... ბრუნდებოდნენ სხვები მამები. ხოლო მამაჩემის ყველი არა ჩანდა. შემდეგ ავად გავდით. ექვსი თვე ლოგინზე ვიწექი გაცოტნი. ექიმი ლევან კაკუხიძე მმკურნალობდა, — ჩვენი ოჯახის მეგობარი. იგი დღედაღამ თავს მადგა, საკუთარი შვილივით მიეწილა და სიკვდილს გადამარჩინა.

* * *

ნათდება. ოთახი. ზაზა თოთხმეტი წლისაა. იგი ლოგინშია. ლევანი მაჯას უსინჯავს. იქვე დგას ნინოც.

ლ ე ვ ა ნ ი. კიდევ ერთი კვირა და უკვე როიალსაც მოუდგები!

ზ ა ზ ა. მართლა, მოა ლევან?!

ნ ი ნ ო. ლევან, არ ვიცი რა გითხრა... შენ რომ არა...

ლ ე ვ ა ნ ი. კარგი ეროსი, ნინო...

(ეიბედან წამალი ამოიღო).

აი, ეიშენე ექნებოდნენ. თავის დროზე მოვცეთ...

ნ ი ნ ო. (გამოართვა) ლევან...

ლ ე ვ ა ნ ი. არაფერია, არაფერი...

(წასვლას აპირებს).

ზ ა ზ ა. დედა!

ნ ი ნ ო. რა გინდა, შვილო?!

ზ ა ზ ა. დედა, დალევარ!...

ნ ი ნ ო. რა დაფუძარ, დედა შემოგეცალოს?

ზ ა ზ ა. აი ის, მაშას რომ ძალიან უყვარდი...

ნ ი ნ ო. (შემკთალა) ჰო... კარგი...

(გაფის. როიალს მიუჯდა. უკრავს. პაუზა. თვალცრემლიანი ზაზა ერთხანს მცლიდას უცქერს).

ზ ა ზ ა. ია ლევან... მე არც ისე პატარა ვარ. ხედავთ, დედა როგორ წუხს... მითხარით, რაიმე ახალი ცნობა ხომ არ მოუღიათ... ნუ დამიშალავთ...

ლ ე ვ ა ნ ი. ზაზა, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.. ხომ შევთანხმდით, რომ არაფერს დაეუმზალავდით ერთმანეთს?!

ზ ა ზ ა. დიახ!

ლ ე ვ ა ნ ი. მოდა, რომ იყოს რამე...

ზ ა ზ ა. მე მჯერა ლევანი, ანა ლევან, მაგრამ დედა ამ ბოლო დროს ხუთ შეიცვალა... მჭირნა, რომ მე მძინავს, სასოფლოდან ჩამომიყვება ხოლმე და მთელი ღამეები ტირის. მეფიქრება და ტირის. რატომ?! ალბათ, იცის რაღაც და მიმალავს...

ლ ე ვ ა ნ ი. ზაზა, გეფიცები, არაფერს გიმალავს. ან, ჩვენ კიდევ გავაჯავრებთ შეკითხვა... ალბათ, მალე პასუხსაც მივიღებთ. დამიჯერე, ჩემი ბიჭიკო, მამა ნამდვილად ცოცხალია, იგი, ალბათ პარტიზანი იყო (საიდუმლოდ) ან რაიმე საგანგებო დავალება მჭირდა, ამიტომ აგვიანებს... ჰო, მართლა, კინალამ დამავიწყდა, სარუკამოგიტანე... (ეტიკეტ ამოაჭერ ჩიანი) აი, ეს ჩიანი პარტიზანებზეა, რომელთაც საგანგებო დავალება მჭირდათ... წაიკითხე. სანინერესოდ არის დაწერილი.. უკვე შეგიძლია კითხვა, ნებას გაძლევ...

ზ ა ზ ა. (გამოართვა) გმადლობთ, ძია ლევან!

(ისმის ზარის ხმა. ნინომ შეწყვიტა დაკვრა და მიღის კარის გასალებად).

ფ ო ს ტ. ხ მ ა. კალბატონო ნინო, თქვენ სახელზე წერილია.

ნ ი ნ ო. წერილი?! (გამოართვა) გმადლობთ... (გაშლილა. კარი მიხურა).

ზ ა ზ ა. დედა!

ნ ი ნ ო. (წერილი დამალა, შემფოთებით) რა იყო, ზაზა?!

ზ ა ზ ა. დედა, აქ მოდი... მომეცი წერილი..

ნ ი ნ ო. არა, შვილო, გაზეთი მოიტანეს...

ზ ა ზ ა. (აღელვებით) მე კი მომეცი!..

ლ ე ვ ა ნ ი. დაწუხნარ, ზაზა! ნინო, მოიტა წერილი.

ზ ა ზ ა. (წამოწია) მომეცი, მე წავიკითხავ... (ნინომ კონვერტი მისცა. ზაზა ხსნის და ჩურჩულით კითხულობს) „თქვენ შეცთომვაზე გაცნობები, რომ მედიცინის სამსახურის მაორი არჩილ გიორგის ძე რაზმიდან ალმონსდო უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიაში“...

(სინათლე ქრება).

* * *

ზ ა ზ ა. ერთი კვირის შემდეგ მე მართლაც ფეხზე დავდექი. სკოლაშიც დავიწყე სიარული, მუსიკაშიც განვაგრძე მეცადინეობა. ხოლო მამა... მე კვლავ ველოდი მამას... ბევრი ბრუნდებოდა, მეც ამედი მქონდა, რომ ერთ დღეს მამაჩემიც გამორნმებოდა... დი, აი, იმ დღეებში ჩვენს სახლში ასეთი ამბავი მოხდა...

* * *

ნათდება ოთახი. როიალთან დგანან ნინო და ლევანი.

ლ ე ვ ა ნ ი. ნინო, როგორმედ უნდა გაგრძელდეს ასე?!

ნ ი ნ ო. არ ვიცი, ლევან!

ლ ე ვ ა ნ ი. უნდა გადავწყვიტოთ... ჩვენ ერთმანეთს მაგვარიბრალვე ვიცნობთ...

ნ ი ნ ო. ჰო, ვიცნობთ...

ლ ე ვ ა ნ ი. (პაუზა) არასდეს ვიფიქრებდი, თუ ჩვენი ამბავი ასე გართულდებოდა...

ნ ი ნ ო. ეს თავისთავად მოხდა...

(პაუზა).

ლ ე ვ ა ნ ი. რა ვილნიო?!

ნ ი ნ ო. მეც... (პაუზა) უშენოდ უკვე აღარ შემიძლია, ლევან... მაგრამ შვილს რა ვუყო?! ხომ იცი როგორ უყვარს დაკარგული მამა...

ლ ე ვ ა ნ ი. ნინო... შენ ხომ გჯერა, მე როგორ მიყვარს იგი?!

ნ ი ნ ო. მჯერა, მაგრამ... ახლანს კი მამის შემცვლელს?!

ლ ე ვ ა ნ ი. ყველაფერს გავაკეთებ ამისათვის, ნინო!..

ნ ი ნ ო. (თვალებში უყურებს). შენ კარგი ხარ, ლევან!..

(ტუნებერად ჩაცმული ერთმანეთს. შემობრძნენ წიგნებით ხელში ზაზა, მოულოდნელობისაგან კარებში შეჩერდა, გაცვირვებული უყურებს მათ. შემდეგ სახე გაუბრწყინდა, წიგნები ხელიდან გაუცვიდა და ყვირილით ლევანს ზურგზე შეახტა).

ზ ა ზ ა. მამა, მამა დაბრუნებულა!... (ნინო და ლევანი ადგილზე გაშეშებენ) ძია ლევან?! (უცერად სილა გაავლა. ლევანი ადგილიდან არ იძვრის).

ნ ი ნ ო. ზაზა!

ზ ა ზ ა. (იატაკზე დაცვენილ წიგნებს მიეპრდა და სახეზე მიაყარა). ამა, ეს წიგნები შენი ნაყოფია.. თურმე რას ფიქრობდი.. (წითელი ყელსახვევიც მოიგლიჯა და მიიგდო) ამა, ესეც შენი ნაიუკარია...

ნ ი ნ ო. ზაზა, დაიცა, უყველაფერს გეტყვი...

ზ ა ზ ა. (თითქოს მასაც უნდა გაარტყას, მაგრამ თავი შეიკავა) შენ კი.... მე შენი შვილი უკვე აღარა ვარ...

ნ ი ნ ო. (მისკენ მიიწევს) ზაზა..

ზ ა ზ ა. (ისტერიკულად) არ მომეკარო... არ მომეკარო... (გარბის. ნინო სავარძელში ჩაეშვა, ტირილს).

ლ ე ვ ა ნ ი. (პაუზის შემდეგ) დამშვიდდი, ნინო... მე დავბარდვნებ ზაზას...

(მიდის კარებისაკენ. ზარი. აღებს. შემოდის უსაშრებო სამხედრო ტანსაცმლში გამოწყობილი ირაკლი).

ი რ ა კ ლ ი. უკაცრავად, აქ ცხოვრობს ნინო რაზმაძე?

ლ ე ვ ა ნ ი. დიახ!... ნინო, შენ გაითხოვნილებ!

(ნინომ თვალები მოიწმინდა და გამოდის კარებთან).

ი რ ა კ ლ ი. ქალბატონო ნინო, ცოლეე მინდა რაღაც გითხრათ...

ნ ი ნ ო. ცოლეე?!

ლ ე ვ ა ნ ი. (წასელას აპირებს) მე დაგტოვებთ...

ნ ი ნ ო. (ლევანს) აქ იყავი!... (ირაკლის) იგი ჩემი ქმარია!

ი რ ა კ ლ ი. ქმარი?! (პაუზა) მე კი თქვენ არჩილის ამბავი მოგიგებთ...

ნ ი ნ ო. ცოცხლია?!

ი რ ა კ ლ ი. დიახ... ჩვენ ერთად ვიყავით საოსეტინგრაციო ბანაკში... საფრანგეთში... ევერიკეთო ზოსნში მოეხდათ... იქ მძიმედ გახდა ავად და ვერ წამოვიდა... ან, ამის სათქმელად მოვედი..

ნ ი ნ ო. (უხერხულ სიჩუმე ჩამოვარდა) გმადლობთ...

ი რ ა კ ლ ი. იქნებ ჯობდა არ მოსულიყავი... უკაცრავად... ნახვამდის...

(ირაკლი მიდის. ნინო ადგილიდან არ იძვრის. პაუზა).

ლ ე ვ ა ნ ი. რა ვქნათ?!

ნ ი ნ ო. (რაღაც გადაწყვეტა) არჩილისაკენ მისაბრუნებელი გზა მე უკვე აღარა მაქვს... წადიხარ, ბავშვი მოყვებითან!..

(მიდიან. ფანჯრიდან შემოძახა ზაზა. სანქაროდ თავისი ტანსაცმლი მომცრო ჩემოდანში ჩაყარა. შემდეგ თვალი მოკრა რიიალზე მამის სურათს).

ა რ ჩ ი ლ ი ხმა. სად მიდიხარ, ზაზა?

ზ ა ზ ა. თითონაც არ ვიცი...

(იღო სურათი, დახუცა) ახლა უკვე არც შენ ხარ ამ ოჯახში საჭირო, მამა!..

(სურათი უბეში შეინახა და სწრაფად უკანვე გადაძერა).

* * *

ზ ა ზ ა. ედ მამ დღიდან მე სახლში აღარ დავბრუნებულვარ. როგორღაც მოვახერხე მოსკოვში წასვლა... იქ მამაჩემის უმცროსი ძმა მეგულებოდა. თურმე ისიც იმში დალუპულიყო. ვიღაც ქალისაც კაცმა, რომელიც ბიძაშვილის ბიზნეს ცხოვრობდა, გზის ფული მოპცა და მირჩია უკან, თბილისში დაბრუნება. ცოტა ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე წამოსვლა. მაგრამ სახლში დაბრუნებას სიცელილი მერჩია... ან, კურსკის სადგურიც... ბილეთი უნდა ამელო...

* * *

ჩაფიქრებული ზაზა მძიმედ მოდის ფილკანზე. მას უკან ჩუმად მისდევს ჩაძინძილი ბიჭუნა, იგი დაახლოებით ზაზას ხნის ხენეზია. ზაზამ უბიდან ფული ამოიღო და ითვლის. უცებად მას ის ბიჭი მივარდა, ფული გამოსტაცა და გაიქცა. ზაზა გამოეკიდა და დაიჭირა. ხალდნეკი ვეება ტანის ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. ეს „ქონდარა" გახლავთ.

„ქ ო ნ დ ა რ ა". ჩავარდი, სუსლოკ!.. (ზაზას) ყოჩაღ. რა მარჯვედ დაიჭირე! („სუსლოკ" ამბა, ლექსო, დაუბრუნე ფული... სწრაფად!..

„ხ უ ს ლ ი კ ი". (უკმაყოფილოდ) კი, მაგრამ...

„ქ ო ნ დ ა რ ა". (მკაცრად) არავითარი „მაგრამ"... ახლავე!

„ხ უ ს ლ ი კ ი" (უბრუნებს) ამა!..

ზ ა ზ ა. (გამოართვა, უბეში საგანგებოდ შეინახა) გმადლობთ, ძია!

„ქ ო ნ დ ა რ ა". ქართველი ხარ, ბიჭიკო?

ზ ა ზ ა. დიახ!

„ქ ო ნ დ ა რ ა". მეც ქართველი ვარ. („სუსლოკს") ვერ შეატყვე, ჩვენიანია? (ახლო მიიღო ზაზასთან, მკლავებს უსინჯავს) ოჰო, მაგარი ბიჭი ჩანხარ... („სუსლოკს") ნამდვილი არწივია, შენ კი არა გგავს.. (დაცინვით) „ხუსლოკ ბრავი"...

ზ ა ზ ა. (გაოცებულია) გმადლობთ, ძია.. მე წავალ... ბილეთს ვიღებ...

„ქ ო ნ დ ა რ ა". სად უნდა წახვიდე... სად მიგიჩქარებს?!

ზ ა ზ ა. თბილისში... აქ ბიძას ვეძებდი... ომში დაკარგულა...

„ქ ო ნ დ ა რ ა". ბიძას?! მოიცა, რა გვარი იყო?

ზ ა ზ ა. რაზმაძე, თენგიზ...

„ქ ო ნ დ ა რ ა". რაზმაძე თენგიზ... ალესკის ძე...

ზ ა ზ ა. არა, გიორგის ძე.

„ქ ო ნ დ ა რ ა". ჰო, ჰო... გიორგის ძე... რას ამბობ, მაშ, თენგიზი შენი ბიძა იყო?!... აი, საკვირველებაა ნათქვამია, მთა მთას არ შეხვდებაო... („სუსლოკს") აი, აი, აი... შენ კი ამ ბიჭის გაძარცვა გინდოდა!...

ზ ა ზ ა. თქვენ თენგიზს იცნობდით?!

„ქ ო ნ დ ა რ ა". (სუსლოკს თვალი ჩაუკრა) ვიცნობდი როგორელია, ფრონტზე ერთად ვიყავით... რაღა დაგიმალო და... ჩემს გვერდით მოკვდა. მე თვითონ დავმარხე...

ზ ა ზ ა. რას ამბობთ?!

„ქ ო ნ დ ა რ ა". წამდი, ბიჭიკო... ყველაფერს გაიმბობ... ჯერ დავნაყრდეთ... მოვერპაპაროთ... დედ-მამა გყავს?

ზ ა ზ ა. (ყოყმანით) არა...

„ქ ო ნ დ ა რ ა". ჰოდა ხად მიგიჩქარებს?! წამოდი, ჩვენ, ვატყობ, ძმაკაცებიც გავდებითო.. ხომ მართალია, სუსლოკ?

„ხ უ ს ლ ი კ ი". მართალია, მაშ!..

„ქ ო ნ დ ა რ ა". აი, ესეც შენსავით ობოლია, მაგრამ ჩემთან ისეთი მხიარული ცხოვრება აქვს.. შენისთანა არწივები ისე მჭირდება... რა შეგიძლია?

ზ ა ზ ა. მე... მე... არაფერი. აი, დაკვრა შემიძლია... ორი წლის შემდეგ კონსერვატორიის სტუდენტი უნდა გავმხდარიყავი...

„ქ ო ნ დ ა რ ა". ოჰო... ეს კარგია... ამა, წავიდეთ... ისეთი მელოდიების დაკვრას გასწავლი...

„ხ უ ს ლ ი კ ი". წამდი, „სტუდენტო"!

„ქონდარა“. (სუსლიკის) ყოჩაღ, სუსლიკ!... რა კარგი მეტსახელი წამოგიდგა... (ზაზას) ამიერიდან შენ „სტუდენტი“ ბქვიან.. (სინათლე ქრება).

* * *

ზაზა. იმ დღიდან დავიწყე ახალი ცხოვრება... ჩემთვის უჩვეულო, დამოუკიდებელი... დრო კი გადიოდა, გადიოდა. ომის დამთავრებიდან ცხრა წელიწადი გავიდა, და აი, ერთხელ ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტი წლის გაზაფხულზე...

ნინოს ბინა. სასტუმრო ოთახი. ნინოს ხელში უჭირავს ზაზას წიგნი ულუსახვევი, თითქოს ეფერებოდა.

* * *

ნინო. დღეს 15 მაისია... ზაზას დაბადების დღე (ფანჯარასთან მიდის, ქუჩაში იხედება, თითქოს ელოდას) ნუთუ დიდხანს გაგრძელდება ასე?! (პაუზის შემდეგ ბრუნდება, როიალთან ჯდება, ულუსახვევი წინ დაიღო. უკრავს არიელის საყვარელ მელოდიას. შემოდის ლევანი. ფრთხილად გაიელის, საჩაფხუტო პალტოს და ქუდს ჰკიდებს მეორე ოთახში. ასევე ფრთხილად ბრუნდება და ჯდება საკრძალში. ყურადღებით უსმენს მესიკას. ასე გრძელდება სამკაი ხანი. ნინო ამთავრებს დაკვრას, ლევანი საკრძალიდან დგება, შემჭიდეველად მიდის მასთან და კოცნის. ნინოს თვალწინ წარმოუდგა შვილის გაქცევის სურათი და ლევანი ფრთხილად მოიცილა)

ლევანი. რა მოგვიდა?!

ნინო. არაფერი, არაფერი...

(ცრემლ ორთვალებს უბრუნდება, განაგრძობს დაკვრას).

ლევანი. (როიალზე შეაშჩნია ზაზას ულუსახვევი. აიღო). ჰოო... დღეს ზაზა ოცდაათში წლის გახდა....

ნინო. ოცდაათში წლის...

(დაკვრა შეწყვიტა).

ლევანი. (პაუზა) შენ დაიღალე, ნინო!..

ნინო. ჰო, დავიღალე!..

ლევანი. ხიმართლე გოხარ, ძე დავიღალე... დღეს ციხის საავადმყოფოში ვიყავი... ხანჯრადო ოპერაციაზე გამომძახეს... ავადმყოფს ზურგში ღრმა ჭრილობა ჰქონდა... რომ დამნაცხა, უარი თქვა ოპერაციის გაკეთებაზე, — საოცარი წინააღმდეგობა გამიწია...

ნინო. ალბათ, შეეშინდა.

ლევანი. ისეთი ზიზღით და სიძულვილით მიყურებდა, — მისი თვალები არასოდეს დამვიწყებია!... აძულებული შევიქენი დამემინებინა.

ნინო. (სიტყვა ბანზე აუგდო) ხვალ დილდაღვე მიდიხარ საბსახურში?

ლევანი. არა. (პაუზა) შენ არ დაკვირვებიხარ თვალებს?! საოცარია, თვალები ყოველთვის რაღაცას ამბედავნებენ... ამხელენ ფარულ აზრს..

ნინო. ავადმყოფი ქალი იყო?

ლევანი. კაცი... სულ ახალგაზრდა!.. უცნაურია, ეფიქრობ და ვერ გამირკვევია, რატომ მიყურებდა ასე?!

ნინო. იქნებ ვინმეს მიგამსგავსა?!

ლევანი. არა მგონია!.. შემდეგ ეშვი დამებადა...

ნინო. მერე?!

ლევანი. გავსინჯე სკჭე და სულ სხვა აღმოჩნდა... ვიღაც ნათქვ (პაუზა) ხვალ საღამოს კონცერტი გაქვს, არა?!

ნინო. ჰო... ძალიან ვღელავ...

ლევანი. დარწმუნებული ვარ, ხვალაც ისეთივე კარგი იქნები, როგორც ყოველთვის.

ნინო. შენ ყოველთვის ასე გგონია... გეჩვენება...

ლევანი. არა... მე არ ვცდები!

ნინო. დარწმუნებული ხარ?!

ლევანი. ვარ!..

ნინო. ამაზე შენი თვალებიც მეტყველებენ... მე, მე ხომ შეგცდი?! ახა, ჩამხედე თვალებში... მიყურე, პირადაპირ მიყურე!

ლევანი. შენს თვალებში მე მხოლოდ ერთ რამეს ვხედავ... — შენ გინდა იცხოვრო ბედნიერად, ადამიანურად.

ნინო. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის... რა მწარედ შევცდი!..

ლევანი. არ გინდა, ნინო... მე მესმის შენი...

ნინო. მერე?! კმაყოფილი ხარ?!

ლევანი. დრო ყველაფერს გამოასწორებს, ნინო!

ნინო. დრო... თითქმის ცხრა წელიწადია, რაც მე შენი ცოლი ვარ...

ლევანი. მერე?! შენს თავს უბედურად თვლი?!

ნინო. უბედურად?! არ ვიცი... მე იმიტომ წამოვედი, რომ... შენ იყავი ჩემი ერთადერთი იმედი... შენ გამომიწოდე ხელი განსაცდელის ჟამს და გადამარჩინე...

ლევანი. რაღარც ყოველთვის, შენ ახლაც აზვიადებ!

ნინო. არა, არა... მომისმინე... მე მერე დავწუხდი, რომ არ მქეყანებია არჩილი... აჭესარი. შენ, შენ კი.. მე ვიცოდი, რომ გიყვარდი... მეც ამიტომ შეგიყვარე... ნუთუ ეს იყო ჩემი მთავარი შეცდომა?! შვილმა კი...

ლევანი. (პაუზა) იგი უკვე ის ასაკში იყო, როცა ბავშვობას სტოვებენ... ამ დროს ადამიანები მეტად მგრძნობიარენი და სათუნი არიან. მამა დაკარგა, ჯერ ესეც არ ჰქონდა განელებული, რომ...

ნინო. (შეკანკალა) დედაც დაკარგა.

ლევანი. ჩვენ შეურაცხყოფა მივაყენეთ მამამისის ხსოვნას. პირადად მასაც, შენდაში მის ხიყვარულს... ყოველივე ეს არ გვაპატია და გავვეცა...

ნინო. (პაუზა) ნუთუ შვილიც ჭალს ხელმეორედ გათხუების უფლება არა აქვს?

ლევანი. (პაუზა) ნინო, შენ გჯერა იმედების?

ნინო. რაკიმ მეკითხები?!

ლევანი. არა, მე ვიცი, რომ შენ გჯერა... გჯერა და ესაა შენი ძალა... რაკიმდაც დარწმუნებული ვარ, რამდენ დროც არ არ უნდა გავიდეს, ვიცავნი, ვიპოვნი მას ჩვენი ბედნიერებისათვის!

ნინო. მე გიცნობ შენ... შენ ყოველთვის მამშვიდებ და მამხნევებ.

ლევანი. არა, მე ნამდვილად გეუბნები... აი, ნახავ, ჩვენ ზაზას ვიპოვნით. ბოლოსდაბოლოს ის ხომ არ მოეულევი?! ის...

ნინო. უეზოუკვლად დაიკარგა...

ლევანი. დაიკარგა... ჩვენც ვეძებთ, გუთხეულდაკრეფილები ხომ არ ვზოვართ... ხომ არ დავმშვიდებულვართ?! ან შენ ყოველდღე ზიხარ ფანჯარასთან და ელოდები... რაკი ელოდები, — უსათუოდ მოვა!

ნინო. (პაუზა) დღერთო, ნუთუ დიდხანს გაგრძელება ასე?!

ლევანი. შენ ნამდვილად გადაიღალე... ასე მუშაობა როგორ შეიძლება?! (ნინო ფანჯარასთან ჯდება და თითქოს ელოდას ელის) ნინო, ვაზშაში გვაქვს?

ნინო. გვაქვს... ულუსაერი მაგიდაზეა.

ლევანი. შენ არ იცამ?

ნინო. არა... ცოტა ხანი მარტო მინდა დავრჩე...

ლევანი. ისევ უნდა იმუშაო?!

ნინო. სულ ცოტა ხანი... მერე მეც მოვალ.

ლევანი. კეთილი... მხოლოდ ცოტა ხანი... მერე სადმე გავისეირნოთ... დღეს განსაკუთრებული საღამოა...

ნინო. კარგი... (ლევანი გაღის) განსაკუთრებული... (ეზოში შედიოს არჩილი. იგი მოტეხილია, თითქმის დაბერებულა. ხელში ჩემოდანი უჭირავს, მკლავზე გახეხებული საზაფხულო პალტო გადაუცია. შემოსულისანაგვე თითქოს მოხუცები მოეკევთო, იქვე, ყვავილნართან ჩემოდანი დადგა და ჩამოჯდა. ქუდი მოიხადა. თმა მთლიანად გათეთრებული აქვს).

არჩილი. ეს ჩემი სახლია... ჩემი ყვავილნარი... ცამეტი წელია წყად გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემს სახლში არ ვყოფილვარ... თითქოს უფრო განსაკუთრებით მეჩვენება ყველაფერი... მე ყოველთვის

მერჩარებოდა სახლში მოსვლა... მაშინაც, აი ის ფანჯარასთან იდგა ნინო და მელოდებოდა...

(თვალი მოჰკრა ფანჯარასთან მჯდომ ნინოს).

ნინო!...

ნ ი ნ ო. (ძან არჩილის ხმა ზაზას ხმას მოამსგავსა) ზაზა!.. (მთ შეხედეს ერთურთს, თითქოს ცერ იცნეს ერთმანეთი, მაგრამ ნინოს მიერ წარმოთქმულმა ერთმა სიტყვამ „ზაზამ" არჩილი ახრწნა მოიაგესა).

ა რ ჩ ი ლ ი. ნინო!.. ზაზა!..

ნ ი ნ ო. (ვაშკაცი) ეს არჩილის ხმაა!..

ა რ ჩ ი ლ ი. დიეთით... რა ბედნიერებაა, მე კვლავ საკუთარ სახლში ვარ... ჩემს ცოლ-შვილთან... მეი, გამოიხედეთ... გამარჯობა ნინო, გამარჯობა ზაზა!...

ნ ი ნ ო. ნუთუ, ეს ცხადია?! არა, არა, მერჩენება!

ა რ ჩ ი ლ ი. (მიდის კარებთან, ჯაკუჩებს; კარი გამოიღო. ეს მე ვარ, არჩილი... ნინო, ზაზა!..

ნ ი ნ ო. ის არის, ის... ნამდვილად ის არის!

ა რ ჩ ი ლ ი (ისევ აკანკენებს) ნინო!... (ნინო სწრაფად აღებს კარებს. ოთახში შემოდის არჩილი. ნინო უცან-უცან იხევს, გოცებული უყურებს), ცოცხალი ვარ, ცოცხალი!.. (მიიწევს გული ჩაასკვნად, ნინო კვლავ უცან იხევს, საკარებში შევიდა და სახეზე ხელს იფარებს. არჩილი შეჩერდა. ადგილიდან არ იძვრის) მე ბევრი გაჭირვება გამოვიარე... მაგრამ მაინც დავბრუნდი... ხომ მშვიდობით, ხომ კარგად ხარი?

ნ ი ნ ო. (თავი ასწია, შეხედა) ჩვენ! (უნდოდა სიმარილე ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა).

ჩვენ... ჩვენ... კარგად ვართ...

ა რ ჩ ი ლ ი. (საკარებელთან მივიდა, ორივე ხელი ჩააცლო ნინოს, ფეხზე დააყენა, თვალებში ჩახედა, უნდა მკერდზე მიიკრას) ნინო!

ნ ი ნ ო. არჩილ... ნუ.. შენ... დმერთო ჩემო!

(არჩილმა მას ხელი გაუშვა. საკარებელში მოწყვეტილი ჩაეშვა. შემოდის ლევანი. პაუზა. სამივენი ერთმანეთს უყურებენ. დუმილი)

ნ ი ნ ო ს ხ მ ა. არჩილ... ძნელია ამის თქმა... მეძნელება... მაგრამ მე...

ა რ ჩ ი ლ ი. სხვას ეკუთვნი?!

ა რ ჩ ი ლ ი ს ხ მ ა. კოლეგა, შენ აქ ვინა ხარ?

ლ ე ვ ა ნ ი ს ხ მ ა. მე, უპირველეს ყოვლისა, ექიმი ვარ... შენ დასვენება გეხადებოდა...

ა რ ჩ ი ლ ი. მითხარით, რა ამბავია ჩემს თავს?!

(იგი უაზროდ ამტკიცებდა პირველს. მარცხენა ხელი გულთან მიაქვს, შემდეგ წამაბაძებდა და მოჭირნი ხესავით წოლქცევა).

ლ ე ვ ა ნ ი. ნინო... წყალი, წყეთები, ჩქარა...

(ნინო გადის, ლევანი უსინჯავს გულსა და მაჯას).

ა რ ჩ ი ლ ი. მარცხენა ჯიბეში... ნიტროგლიცერინია... (ლევანს ამოაქვს მისი ჯიბიდან ნ ფაქალი და აძლევს. შემოდის ნინო, შემოაქვს ჭიქა წყალი და წამლის შეშა. არჩილი მოსულიერებდა) გუდა... ეს უკვე მეორედ მოგიიდა... პირველად მაშინ, როცა საკონცერტოდ ბანაკში გავედე ომის დამთავრების ამბავი...

(პაუზა)...

ლ ე ვ ა ნ ი. დაისვენეთ... წამოწექით...

ა რ ჩ ი ლ ი. ნუ სწუხდებით.. მე უკეთა ვარ... მხოლოდ სრულად მოულიდნელი იყო ჩემთვის...

ლ ე ვ ა ნ ი. ომს ბევრი ოჯახი ემსხვერპლა...

ა რ ჩ ი ლ ი. ჰო, ემსხვერპლა... (ვაშკაცად შეხედა მათ) ზოგჯერ შინაურების წუალობით... (წამყას ამორებს) უკაცრავად... უკაცრავად.. მუდმივება დაგირღვიეთ... მაგრამ ვფიქრე, ეს ამბავი რომ მცოდნოდა... დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მე აქ არ მოვიდოდი.

ლ ე ვ ა ნ ი. თქვენი წასვლა ახლა არ შეიძლება... დაისვენეთ ცოტა ხანი...

ა რ ჩ ი ლ ი. არა უშავს... (აიღო ჩემოდანი, პალტო და ქუდი. უცებ მობრუნდება, სვედიანი ირონიით) ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა... ნინო, სად არის ჩვენი შვილი?!

ნ ი ნ ო. (არ იცის რა უპასუხოს) ზაზა?!

ა რ ჩ ი ლ ი. ჰო, ზაზა!

ნ ი ნ ო. (დაბნეული) ზაზა სახლში არ არის... იგი მოსკოვში სწავლობს... არა, კი არ სწავლობს, დაბმთარა და ახლა...

ლ ე ვ ა ნ ი. (მკაცრად) კმარა, ნინო!..

ა რ ჩ ი ლ ი. (საკარებელში ჩაეშვა, გამშრალი) გეყვდრებით, ნუ დამიმალავთ... მითხარით, სად არის ჩემი შვილი? (ნინო ტირის) დღეს მისი დაბადების დღეა...

ლ ე ვ ა ნ ი. იმ დღიდან, რა დღიდანაც მე ამ სახლში მოვედი, თქვენი ვაჟი...

ნ ი ნ ო. უგზოუკულოდ დაიკარგა...

(არჩილი საკარებელში ბაიჭდა ზის. პაუზა. შემდეგ დგება, იღებს პალტოს, ჩემოდანს და მიდის. კარებთან ჩერდება. ნინო და ლევანი ხმას არ იღებენ).

ა რ ჩ ი ლ ი. (კარებთან). უგზოუკულოდ დაიკარგა...

ლ ე ვ ა ნ ი. გაგაცილებთ...

ა რ ჩ ი ლ ი. არ არის საჭირო...

(ოთახში სინათლე ქრება, არჩილი გამოდის ყვაეილნართან).

ნ ი ნ ო ს ხ მ ა. იმ დღიდან, რა დღიდანაც მე ამ სახლში მოვედი, თქვენი ვაჟი...

ნ ი ნ ო ს ხ მ ა. უგზოუკულოდ დაიკარგა...

ა რ ჩ ი ლ ი. (ჩემოდანი დადგა და იქვე ჩამოჯდა); დღევანდელ დღესავით მახსოვს ის დღე, როცა ეს ყვაეილნარი მოვაშენე... ჩემი შვილის დაბადების დღე... ოცდასამი წლის წინათ... ამ ყვაეილნარმა ოცდასამი ხუსხიანი ზამთარი და უამრავი ქარიშხალი გადაატანა და მაინც ყვავის... ყოველ გაზაფხულზე ახალი ძალით იფეთქებს და ყვავის... მე კი ცხოვრების ერთმა ქარიშხალმა სამოდამოდ ყვავილფერი დამანარია... და გაზაფხული არასოდეს დამბერებულება. (დგება, მიდის, რამდენიმე ნაბიჯს კეთილს, შემდეგ მოიხედავს, ჩურჩულით) გამარჯობა, ნინო... გამარჯობა ზაზა... არ გეცნით, მოვედი... კარი გამიღეთ...

(გაღებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი მეოთხე

ზ ა ზ ა ს ხ მ ა. ისინი მე მეძებდნენ. მეძებდა დედა, მეძებდა მამა, მეძებდა მამიაცაული... მეძებდნენ ყველგან, მაგრამ უშედეგოდ. მე კი, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივად. ერთ დაწესებულებაში გამლილიყო. ამ დაწესებულებას კარგა ხანია დავუმეგობრდი და საკუთარ სახლად მიმაჩნდა. აქ ყველა მუშაობდა ჩემს გარდა, და აი, იმ დღისაც, ეს იყო ოთხე წლის ოცდაათ დეკემბერს, — ჩვეულებრივად მიმდინარეობდა ცხოვრება, მაგრამ...

* * *

შრომა-გასწორების კოლონია ქალაქის მახლობლად. თოვლია, დიდი თოვლი, კარგა ხანია ასეთი ბარაქიანი თოვლი არ ყოფილა ამ მხარეში. დღეა, მაგრამ პატიმართა ხაკანში ბნელა, ძლივსღა მოჩანს საწოლების კონტურები. არაგანაა. ერთის გარდა ყველა საშუშაოდ წასულა. ეს ერთი, „სტუდენტია". იგი გულადმა წამოწოლილა და დარდიანად უსიტყვოდ მღერის. ასე გრძელდება ცოტა ხანი. ახლა შორიდანაც მოისმა სიმღერა. ეს პატიმრები მღერიან. აი, ისინიც. პირველნი ჩვენ ნაცნობები, პატარა ტანის „სუსლოვ ბრაჭი", და ახლაი „ქონდარა" მოდიან, — მათ შემდეგ „ჯინჯა", „ცქიფა", ირაკლი, „ქონდარა-II" სანათლე ანთით. ყველანი თავიანთ საწოლებთან მიდიან და ეწყობიან. სუსლოკამ ჩექმები გაიხადა და ზაზას საწოლთან დაუწყო. შემდეგ დაბამბული ქურქი და შარავანი გაიხადა, ეიურებიანი თბილი ქუდი მოიძრო და „ცქიფას" გადაუცარა, შესცივდა, თბილ ჩუსტებში ფეხი ჩასდო. ირაკლიმ წიგნები გაშალა და იქიდან რეეულში რაღაცას ეწერს.

„ხუსლიკი“. (სამანში გაიგსივა) ბრრ... შემცივდა... „ტელეგრეიჯ“ იოჰტურ, შარავლი ჩვა!... ზამთარი მაინც არ იყოს („ქონდარას“!) მოსაწევი არა გაქვს?

„ქონდარა“. (სიგარეტს აწევის) აჰა, აილე! (პაუზა) მა რა გეგონა, ხომ იცი, ცქიფას რა ხელი აქვს... მასთან „ბურახ“ თამაში იქნება?! („სოსლიკი“ არ პასუხობს).

„ჭინკა“. იყავი ახლა ავრე შიშველი!... („ქონდარას“) ერთი მეც გადმომიგდე!

„ქონდარა“. (გადაუგდო სიგარეტი) აჰა!

„ჭინკა“. (მოუკიდა, გააბოლა) ძალიან ქესაჭათა ხარ? („სუსლიკი“ სდუმს).

„ქონდარა“. მიდი, ჩაუჯექი. იქნებ, ხელი მოიბრუნო!

„ხუსლიკი“. (თითქოს ახლა შეამჩნია თავისი თბილი ჩუსტები. სპანშოხურული „ცქიფა“ მიეწოლება) ცქიფა, კიდევ მეთამაშე, რა?

„ცქიფა“. რა უნდა გეთამაშო, რაც გჭონდა, ყველაფერი წააღე!

„სუსლიკი“. (ჩუსტები გაიხადა). აი, სულ ახალია... ხუთ თუმანში გეთამაშები...

„ცქიფა“. არა, ძმაო, არ მინდა შენი ჩუსტები.

„სუსლიკი“. (ხვეწნით). მეთამაშე, რა?!

„ცქიფა“. არა!

„სუსლიკი“. კარგი... სამ თუმანში იყოს! გაიგე, უნდა გეთამაშო... ამაღამ არ დამეძინებას!

„ცქიფა“. — არა-მეთქი... მოვრჩით?!

„სუსლიკი“. (გაბრაზებით). ეხ, ჩტო პოდელაეშ!...

(უცბად რაღაც გაახსენდა, ლოგინთან მივიდა, ბალიშიდან წიგნი გამოაძრინა) არც ამაზე მეთამაშები?!

„ცქიფა“. რაზე?!

„სუსლიკი“. თუმცა, არა, ამ წიგნზე თამაში არ შეიძლება, ეს მე პროფესორს მოვუტანე

ირაკლი. (თავი აიღო). ჰა, რა იყო?!

„სუსლიკი“. პროფესორო, ეს წიგნი დღეს სამკითხველოში შენთვის ავწუანე... შენ წიგნები გიყვარს და ვიფიქრე გაუხარდება მეთქი! (წიგნი მაგიდაზე დაუდო).

ირაკლი. (დახედა წიგნის ყდას, გაეცინა) „იჭა“... მადლობელი ვარ, მაგრამ რა საჭირო იყო მოპარვა! წაგი, უკანვე ჩააბარე! თუმცა იყოს აჭ, მე ჩავაბარებ.

„სუსლიკი“. (გულდაწყვეტილი) ამ წიგნზე სულ რიგია სამკითხველოში. აი, ისანი, „ფაშისტები“ კითხულობენ, მეგონა გაგიხარდებოდა.

ირაკლი. მადლობელი ვარ, ჩემი სუსლიკ, მადლობელი... (პაუზა. ყველანი თამბაქოს ეწევიან. ოთახში ბუღი დადგა).

„ხტუდენტი“. (საწოლიდან დგება და წინ მიდის. წყლწყვილი სრულიად შიშველია. საოცარი ნაკვთებიანი მკერდი და მკლავები გამოუჩნდა. ქინაღზე ჯვარი ჰკიდია, გულმკერდზე ვეება თავის ქალა აქვს ამოტეხილი) აი, ესენი ჩემი მეგობრები არიან... ეს არის ჩემი მუდმივი ადგილსამყოფელი... მე მგონი, ხვდებით, სადაც ვარ! თუმცა, ბიჭები, ერთი დეტალი გამოგაჭრიჩნია...

(სცენის უკანა პლანზე გამოჩნდება საკარტოლო ჯიხური და მავთულხლართებიანი კედელი) აი, ახლა კი თქვენთვის ყველაფერი ნათელია!

ზაზას ხმა. ეს ჩვეულებრივი დღე იყო ჩვენთვის, მაგრამ ჩემთვის სახეფიშნერი გახდა...

(„ხტუდენტი“ თავის საწოლს უბრუნდება. მოისმის კარების ხმაური. ზედამხედველს შემოჰყავს პატიმარი).

ზედამხედველი. (მოუთითებს თავისუფალ საწოლზე) აჰა, მოეწყვე, შენი ადგილია...

„ბოღმა“. მერანი, პარდონ!.. (ზედამხედველი უსიტყვოდ გადის. „ბოღმამ“ მიმოიხედა) ვაჰ, კონდარო, შენც აქა ხარ?!

„ქონდარა“. აჰა ვარო!... მა, აკადემიაში ხომ არ ვიწვებოდი, რამდენი წლით გვეწვია?

„ბოღმა“. სამი წლით... წვრილმანი ხაკმე იყო... ხულიგნობა... (შეამჩნია ირაკლი) ვაჰ, მაორთა აკადემიაში მოვხვდი! ეს რა ჩიტი გაფლიანთ! (მიდის, ირაკლის საწოლი გადაყარა, თავისი მოაწყო, შემდეგ ფანჯარა გააღო და წამოწვა. ირაკლი გაოცებული უყურებს, სხვები ხმას არ ღებენ).

„ხტუდენტი“. (პაუზის შემდეგ) ფანჯარა დახურე!..

„ბოღმა“. (დამცინავად) რათა, ყმაწვილო?!

„ხტუდენტი“. სიცივე შემოდის!..

„ბოღმა“. ოთახში ბუღი დგას... მცხელა!

„ხტუდენტი“. მე კი შემცივდა!..

(არავინ ხმას არ იღებს, გადაცივებული ელოდებიან რა მოხდება).

„ბოღმა“. თითო საწუვნი!

„ხტუდენტი“. დახურე-მეთქი!

„ბოღმა“. (პაუზა. „ხტუდენტი“ წამოდგება, „ბოღმა“ მისცქერს წამოდგება. ახოვანი, ბრგე ვაჟკაცი ჩანს) ლეკვო, მე ბოღმას მეძახიან!

„ხტუდენტი“. (ერთმანეთის პირისპირ დადგნენ) მე კი ხტუდენტს! (სინათლე ქრება. მოისმის ირაკლის ყვირილი).

ირაკლი. შეიჭერით, შეიჭერით!

(პაუზა. დიდი პაუზა. სიჩუმეა. პიპნელში მოისმის ჩუმი, დარდიანი სიმღერა).

არ თავდება მოლოდინი,
არ თავდება ღამე,
განა დღლეე შეოთის ძილით
ღამეს განაყმაბეს?!
შავი ღამე, თეთრი ფიფქი,
ღამე მეტად გრძელი,
არ გშორდება შავი ფიქრი,
ხიშტიანი მცველი.

ზამთრის ღამე, ურდულები,
ჩარაზული კარი,
ჩარაზული სურვილები,
სუსხიანი ქარი.
მოლოდინი, მოლოდინი,
და უწყვეტი ფიქრი,
შავი ფიქრი, შეოთის ძილი,
გარეთ თეთრი ფიფქი.

(სიმღერის დროს ნელ-ნელა ინთება სინათლე. ფანჯარა დახურულია. ყველანი თავიანთ ადგილს წვანან. „ბოღმა“ არა ჩანს, ირაკლი განაგრძობს მუშაობას).

„ხტუდენტი“. ცქიფა!

„ცქიფა“. რა გინდა?!

„ხტუდენტი“. აქ მოდი. („ცქიფა“ მიღის მასთან) იცი, რა უნდა გითხრა!

„ცქიფა“. არ ვიცი!

„ხტუდენტი“. დაუბარებე, ბიჭო, სუსლიკას ტანისამოსი.. გაუშვი ჩაიცვას!

„ჭინკა“. (უსიტყვოდ ბრუნდება თავის საწოლთან, აიღო ტანისამოსი და „სუსლიკს“ გადაუყარა) აჰა, დაიჭი... იცოდე, ამ ბარახლიზე მეორედ ალარ გეთამაშები!

„სუსლიკი“. მოაცილე... შენი მათხოვარი ვარ?!

„ცქიფა“. კარგი... რაცა გაძლევენ, აიღე!.. (სხვები მათ საქმეში არ ერევიან, სერის უყურებენ).

„სუსლიკი“. რა უნდა ავიღო?! ჩემია, რო ავიღო?! (ისევ გაიხადა ჩუსტები) თუ გინდა, მა, მოდი, ჩავუჯდეთ... ვითამაშოთ!.. ვიცი, გული მეუბნება, უნდა მოგიგო! („ცქიფამ“ „ხტუდენტს“ შე-

ხედა) აქეთ მოიხედე.... სად იყურები?! მოდი თუ გინდა... ახა, გინდა?!

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. კარგი გეყოფათ!... მორჩით ბაზარს... ვერა ხედავთ, პროფესორი მუშაობს... ხელს უშლით!..

(„სესილიაი“ ტანსაცმელს ხელს არ კრავს, უხმოდ თავის საწოლზე წვება, პაუზა).

ი რ ა კ ლ ი. (თავისთვის) ადამიანები არ იბადებიან დამნაშავედ... ადამიანები....

(მოისმის „ბოღმა“ ქანება. ყურადღებას არავინ აქცევს. ქანება მეორდება ქანება. უეცრად „ს ტ უ დ ე ნ ტ ი“ ელდანაყრავივით წამოვარდება).

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. კიდევ ყმუის... დავაბრიხოს ამ ძაღლებელს!..

ი რ ა კ ლ ი. გეყოფა! (ხმას არავინ იღებს სიჩუმეა).

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. (შეჩერდება, მიტრიალდა. „სესილიას“) აიღე ჩაცვი! („ბოღმას“) შენ თუ კიდევ ხმა ამოგეღება...

ი რ ა კ ლ ი. არა გრცხვენია?! კაცი სიკვდილის პირას მიიყვანე და ახლა კიდევ...

„ც ქ ი ე ბ ა“. ვიღაც მოდის!..

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. მოვიდეს, მაგისი ოხერი დედაც!..

„ს უ ს ლ ი ე“. (გაიხედა)..ატანდა!.. უფროსი მოდის!..

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. სუსხივ მიდი, გაწელე! მზიარულად შევხვდეთ უფროსს!

„ს უ ს ლ ი ე“. (მისცდუმენელად იცქიმს წყვიტულ ტანისამოსს, დაიკეცას ხელს გარშემო, გასწორებას და მღერის დარღიმანდულ ქუჩურ შაირებს, თან ცეკვავს. ყველანი აჰყვებენ).

ქისა, ქისა ბარაქისა,
თქმა ვინ იცის არაკისა,
ფულით სავსე, ხვავით სავსე,
მითხარ ვილამ ათენებს!

ქისა, ქისა, ბარაქისა,
გაგორება ვამათხისა,
დუშაშები, დუბეშები,
სუსლიკამაც ათენებს!

ქისა, ქისა, ბარაქისა,
მიყვარს ფულით სავსე ქისა,
შენი ჭიბე, მისი ჭიბე,
ჩემი არი, განა სხვისა?!

(ზედამხედველთან ერთად შემოდის კოლონიის უფროსი ნუგზარი. იგი შეიახნის, სათნო შესახედაობის კაცია. სიმღერა და ცეკვა არ წყდება. ნუგზარი ხმას არ იღებს, ელოდება როდის შეწყდება აურზაური. სიმღერა ნელ-ნელა წყდება).

ნ უ გ ზ ა რ ი. (დუმილის შემდეგ) კარგი სანახაობაა, კაცი ცემით მოჰკალით და თქვენ კი ერთობით, — კონცერტი გაგიმართავთ! (ყველანი ჩუმად არიან) ხან არის პატიმარი ბიჭეკაშვილი?

ზ ა ზ ა ხ ბ ი ა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი ჩემი მცველია, მაინც მომწონს, თვალში მომდის...

„ხ უ ს ლ ი ე“. ბიჭეკაშვილი? ეგ რომელია?

„ჭ ო ნ დ ა რ ი“. (ყურში) „ბოღმა“... „ს ტუდენტმა“ რო ცემა...

„ხ უ ს ლ ი ე“. აააა...

ნ უ გ ზ ა რ ი. გადამწყვეტ კაცი?!

„ბ ო ღ მ ა“. (მოისმის მისი ცნობილი) აჰა ვარ, უფროსო...

ნ უ გ ზ ა რ ი. აჰ მოდი. მეჩვენე სად ხარ?

„ბ ო ღ მ ა“. (ცნების) აჰ შემიძლია, უფროსო... სულ დაბეტონებული ვარ!..

ნ უ გ ზ ა რ ი. რა მოგივიდა?

„ბ ო ღ მ ა“. არაფერი... არაფერი, უფროსო... რაღაც ცუდად ვარ, ტანში მამეკვეშა...

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. ცილებ აქვს, უფროსო!

ნ უ გ ზ ა რ ი. (ახლოს მიეყრა). მაგრად გცემეს?

„ბ ო ღ მ ა“. ჰო... (დაიხრა) არა, არა! (შიშით უყურებს „ს ტუდენტს“).

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. (გამგმირავად შეხედა „ბოღმას“) ტყუის, მოჭალეკე უფროსო, ალბათ, სცემეს!

ნ უ გ ზ ა რ ი. ვინ?

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. რომ ვიცოდე კიდეც, ხომ იცით, მაინც არ გეტყვით!

ნ უ გ ზ ა რ ი. (ზედამხედველს) ახლავე დაუკავშირდი ქალაქს, გამოიძახეთ სასაზრალოს ექიმი!

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. იგი მაშინვე გამოვიძახეთ, ამხანაგო უფროსო... სალაა მოვა.

ნ უ გ ზ ა რ ი. (ს ტუდენტს). გულის მაგრად ქვა უნდა გედოთ, თქვე ღმერთგამწყრალებო, რამ გაცემინათ ასე კაცი?! შენი ბრალია, ალბათ, ყველაფერი შენი მეთაურობით ხდება, შენ უფროსობ აჭ!

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. ერთი შესწორება მოჭალეკე უფროსო. აქ არავინ არ არის უფროსი, ჩვენ ყველანი თანასწორუფლებიანი ვართ. აი, თქვენთან კი სულ სხვაა... თქვენ უფროსი ბრძანებები, თქვენ გაუვი უფროსები, უმცროსებიც. მაგალითად, ეს ზედამხედველი თქვენი უმცროსია... ხოლო... (ცინცხავა).

ნ უ გ ზ ა რ ი. გაბედრძე, გაბედრძე!..

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. ხოლო ჩვენ არც უფროსი გვყავს, არც უმცროსი... არც თქვენნ ხართ ჩვენი უფროსი... თქვენ უბრალო მცველი ხართ ამ სახლის, რომელიც ჩვენს პირად საკუთრებად მიგვაჩნია.

ნ უ გ ზ ა რ ი. სცდები, ძალიან სცდები, ნათაბე! ეს სახლი, ეს დაწესებულება შექმნილია სახელმწიფოს მიერ და მას უფრო დიდი დანიშნულება აქვს, ვიდრე შენ ფიქრობ. აქ მოხვედრილი კაცი უნდა ჩაუფიქრდეს თავის დანაშაულს, დადგეს სწორ გზაზე და გახდეს ჩვენი საერთო ცხოვრების უშუალო მონაწილე და მშენებელი.

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. მე ცხოვრებამ საკმარისი ჭკუა მასწავლა, ჩემთან ავრატაციას ნუ ეწევით... არ გამოვა! გესმით, ეს ჩემი სახლია, სხვა სახლი მე არ გამაჩნია... მოდა მომასვენეთ ამ ჩემს სახლში.

ნ უ გ ზ ა რ ი. ბიჭო, მე ვიცი, რომ შენ გინდა აქედან წახვიდე, ადამიანური ცხოვრება.

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. მე აქედან წავალ... უეჭველად წავალ... მაგრამ ვიცი, კვლავ აქ უნდა მოვიდე.

ნ უ გ ზ ა რ ი. მე შენოდენი შვილი მყავს და, რასაკვირველია, შენზე მეტი გამოცდილებაც მაქვს. გული მტკივა, ასე რომ ფიქრობ... შენედან ქვეცანას სხვა თვალით, თორემ ცხოვრება სახტაცია. გაგრძელეს, დავლუპავხ...

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. (დაფიქრებული) შეიძლებელია, მოჭალეკე უფროსო... არ მოხდება... ს ტუდენტი ს ტუდენტად დარჩება.

ნ უ გ ზ ა რ ი. მე გაგრთხილებ არა როგორც პატიმარს, არამედ როგორც ადამიანს. ადამიანს, როგორც მამა შვილს: ცხოვრებას თავისი მრისხანე კანონები აქვს. ადამიანები უნდა დაემორჩილონ ამ კანონებს. ადამიანი ყოველთვის უნდა დარჩეს ადამიანად — რა გეჩვენებაც არ უნდა დაადგეს ხან.

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. („სესილიას“) სუსხიც, აჭ მოდი.

„ს უ ს ლ ი ე“. რა ვინდა?

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. თქვი, როგორც აღსარება, რამ მოგიყვანა აჭა?

„ს უ ს ლ ი ე“. შენ რა, გამოძებას აპირებ?

„სტუდენტი“. მოუცევი უფროსს, როგორ მოხვედი აქ!

„ტუსლია“. დანაშაულის გამო... მოვიპარე და დამიჭირეს! რაო, ხომ არ მკითხუნელებენ?

ნუგზარი. ორი იქნება, გაგათავისუფლებენ!

„ტუსლია“. მე მეგონა შინ, რისხოვში მიელინებით მგზავნიდნენ.

ნუგზარი. მერე გაუკ ის ვინმე?

„ტუსლია“. არა, ყველა დამეხოცა...

ნუგზარი. ირჩოცდაორი?

„ტუსლია“, ჰო, ირმომცდართში... მამა ომში დაიღუპა... მერე ჩვენს სტანციაში გერმანელები მოვიდნენ, დედაც იმათ მოკლეს, მე არავინ მყავდა... ჩემი ქუჩრების სტაციც აქედან დაიწყო... უფროსმა ბიებმა მასწავლეს.

„ქონდარა“. თავი გამოიჩინე და „ხუსლიც ბრავი“ დაარქვეს!

„სტუდენტი“. კარგი... გეყოფა!..

„ტუსლია“. (სტუდენტს) მომაწევინე! (გამოართვა).

„ქონდარა“. (ტრაბახით) ჩემი ალხარება თუ გინდათ, ოც თაბახს ჭაღალდზეა დაწერილი... ოთხ „ხუთიანს“ და თორმეტ „ზასდატელს“ აქვს ხელი მოწერილი. ესაა და ეს. „სროკი“ მიეცითო... ქურდი არისო, ხვეის სახლში ძვრებაო...

„ჭინკა“. მა საკუთარ სახლში ხომ არ შეძვრებოდა?!

„ტუსლია“. ოტყდეს უ ნეკო საკუთარი სახლი?!

„სტუდენტი“. გეყოფათ, თქვენ არავინ გეკითხებათ! (ირაკლის) პროფესიონალი, თქვენ ხომ ხასწაული კაცი ხართ, ლოცქინი, ფილოსოფოსი, თქვენ რადან მოგიყვანთ აქ?!

ირაკლი. ალბათ სახელისწერო შემთხვევამ... თითქოს არაფერი არ მაკლდა. ვეთხუთლიდი ლექციებს, ვასწავლიდი სხვებს, თვითონ კი ისეთი შეცდომა დავუშვი, რომელსაც ვერასოდეს ვპატიობ თავს!...

„სტუდენტი“. ამ კაცმა ადამიანი დაახარჩინა!

ირაკლი. ხაუბედურად, მეც ავუვეი მანჭანთანის და შევიძინე. რად მინდოდა, ბინა უნივერსიტეტის ცხეირწინ მქონდა... მო, ჭალაქვარეთ წუნდაში ვაგარაკი ავიშენე... იქ უნდა მეცხო. მართვა ვისწავლე და ეროხელ...

„სტუდენტი“. გასაგებია... და ბედისწერამ ჩვენთან, „ანგელოზებთან“ მოგიყვანა!... მოქალაქე უფროსო, ამათი ბიოგრაფიები თქვენ ჩემზე კარგად იცით, მაგრამ ესენი განგებ ვალაპარაკე... რაც ახლა მოისმინეთ, გამოიწვია გაჭირვებამ და არ ვიცი კიდევ რაღაც ჭანდაბამ...

ირაკლი. შენ გინდა თქვა, გაჭირვებამ, ომმა, ცხოვრების უკუღმართობამ, ხომ ასეა?

„სტუდენტი“. დიახ!

ირაკლი. ხაწუხარად, რახაც ამბობს, ნაწილობრივ მართალია!

ნუგზარი. მეც ბევრი გაჭირვება გამომეცნია, მეც მინახავს ომი. (ირაკლის). კარგი, ვთქვათ მართალია, მაგრამ ერთი რამ ხომ ცხადია, ცხოვრების ნაძირალის მხილოც უნებისყოფო ადამიანები აჩვენებიან... სტუდენტო კი ახლის ან მკვიხ... ახა, ხომ გაქვს მოსმენილი როგორ უყრიან, ზოგიერთ პროფესიონალ პიანინატსაც შეშურდებოდა... როცა ამ გზას ადგებოდა, სად იყვნენ მაშინ მშობლები, სკოლა...

„სტუდენტი“. (აწუვეტინებს). ვიცი, რაც უნდა თქვათ — მშობლები, სკოლა, კომკავშირი!.. ნაცნობი ნოტებია — პროკურორიც ამას მეუბნებოდა, ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს ეს სიტყვები... ახა, ჩემს გულში ჩაეხედათ?!

ნუგზარი. მერე ჩაახედე ვინმეს შენს გულში?

„სტუდენტი“. იცით, რას გეტყვით, — არის ადამიანის ცხოვრებაში შემთხვევები, რომელთა შესახებ სკოლას და კომკავშირს კი არა, საკუთარ თავსაც ვერაფერს უმხელ... ვერშინა, გრცხვენია...

ნუგზარი. ეს ნამდვილად ახეა, მაგრამ თუ ამდენი იცი, ამ გზაზე არ უნდა გაგაგარო ხიარული, პოითშინე, გაუფრთხილდი... ვფიქრობ დადგება დღე, როცა შეგეცვლება შენეულობა, ცხოვრება თავისას გაგატანს!

„სტუდენტი“. ახეთი დღე არასოდეს დადგება!

ირაკლი. დადგება ბიჭო, დადგება!

ნუგზარი. („სტუდენტს“ ხელი მოაქცია, წინა პლანზე წამოიყვანა) ეგაო მტკივა, რომ გიყურებ... მე კარგა ხანია გადევნებ თვალურს და ჯიუტად მჭერა, რომ შენ მოიხერხებდი ცხოვრებისაგან ეკი, რას გეტყვი... მოდი, ხშირად გამოიარე ჩემთან, არა როგორც პატიმარმა, როგორც კაცმა, ადამიანმა... ჭალაში გასცლის უფლებასაც მოგცემ...

„სტუდენტი“. მერე, მენდობით?!

ნუგზარი. გენდობი... მე შენგან გული მომიწევს, ბიჭო... იქნება... მეგობრებიც გავხდეთ... მა, რას იტყვი?!

„სტუდენტი“. (ერთხანს თვალებში უყურა, შემდეგ ირონიულად გაიღიმა) არა, მოქალაქე უფროსო, არ გამოვა, — პატიმრის და მცველის მეგობრობა ყოველად შეუძლებელია!.. თუმცა გულწრფელად გეტყვით, — ჩემთან ახე არ საუბრობდნენ...

ნუგზარი. ჰოდა, ძალიან ცუდი უქნიან... დაფიქრდი, დფიქრდი და იქნებ თავად მიხვიდე ფუნამდე. (ირაკლის) მოებრუნდება).

ირაკლი. გმადლობთ!

ირაკლი. თქვენ, როგორც გატყობთ (პატიმრებზე მიუთითა). ძალიან შეეჩვიეთ ამათ?! თუ გინდათ სხვაგან გადაგიყვანთ.

ირაკლი. არა, მე აჭ მირჩევნია. პირველად ვერ წარმოვიდგენთ, როცა ვშუშაობ, გაგრუნული სხეიდან და ერთმანეთს ჰიუმებენ... ოლონდ, ეს არის, რომ ჩემთან და მოთხრობების მოყოლა უყვართ... ხანდახან მთელ ღამეებს ვათენებთ!

ნუგზარი. გასართობი უნახავთ ამ დღრიადაშვარულებს! (წასულს ამირებს) ირაკლი, იმ ახალ პატიმარზე თვალყური გეჭიროთ!

ირაკლი. მოაცილეთ ეს კაცი აჭყრობას, მოჭალე უფროსო, მას აქ...

ნუგზარი. ხელსაც ვერ ახლებენ! (მიდის, კარებში მოტრიალდა, „სტუდენტს“) ნათაქე, შენთვის ჩაპიპარება ბიჭიკაშვილი, დიდოელი უქმის, დანარჩენს მერე გავარკვევთ! (გაღის).

„ქონდარა“. ნახეთ, რამდენი ლაპარაკია!

„ჭინკა“. ნამდვილი ადგატკარია!

„ქონდარა“. კიდევ კარგი, კომკავშირზე და მასწავლებლებზე არ გააგრძელა ლაპარაკი...

„სტუდენტი“. (ყვირის) გეყოფათ! (დიდი პაუზა. ირაკლი გაზეთებს ათვალიერებს: „სტუდენტმა“ აყორტნები ილი და სცენის წინა პლანზე ჩაშოკდა. დაიწყო ღაცარა. იგი დიდი გრძნობით ლისტებით ასრულებს ნაწილს რახმანინოვის საფორტეპიანო კონცერტიდან. ირაკლი გაოცებულია. მასთან მიეცილა. იქვა ჩაშოკდა და განცვიფრებული შეპყრებს). გაკვირდა, ბატონი ირაკლი, არა!

ირაკლი. საოცარია!

„სტუდენტი“. მე ახლა კონსერვატორია დამთავრებული მეკნებოდა.

„ქონდარა“. სამაგიეროდ, ჩემი კონსერვატორია დამთავრა, ისეთი მელოდიები ვასწავლე, რომ მე, ოდესაც მისი მასწავლებელი მოწაფედ ვყავარ!

„სტუდენტი“. (ცნილებში) გაიუმდი შენი...

„სუსლია“. გაჩერდი, თორემ ხედავ „ბოლმა“ რა დღეშია!

ირაკლი. ნუ დამიმალავ, ბიჭო!... შენ გაწუხებს რაღაც...

„ქონდარა“. (სუსლიას) მართალი ხარ, ფინთ ხასიათზეა, გაჩერება სჯობს...

„სტუდენტი“. არაფერი, არაფერი...

ირაკლი. არ მენდობი!

„სტუდენტი“. მე არავის არ ვენდობი!

ირაკლი. მე კი ვენდობი ადამიანებს...

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. მე მათ მომპარეს ნდობა... ისინი მატყუებდნენ მე, აბუჩებდნენ ერთობლივ და იცით როგორი ადამიანები, ადამიანები, რომელთაც პატივს სცემენ, წესიერებად მიაჩნდათ... მე კი...

ი რ ა კ ლ ი. მესმის შენი, მაგრამ, ჩემო კარგო, — ახა, წარმოიდგინე როგორი იქნებოდა ეს ქვეყანა, კარგი ადამიანები რომ არ იყვნენ?! ისინი ბევრნი, ძალიან ბევრნი არიან ამ ქვეყანაზე!

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. შეიძლება, მაგრამ ისინი არ შემხვედრიან. (პაუზა) ერთეულებს გარდა...

ი რ ა კ ლ ი. იმიტომ, რომ შენ ნამდვილი ცხოვრებით არ გიცხოვრია. მე კი... მეც ბევრი რამ გადავიტანე, ადამიანები დამეხმარნენ. მე შევხვდი ისეთებსაც, რომელთაც ცხოვრების ყველაზე მძიმე დარტყმები იგემეს და მაინც გაუძლეს, მაინც საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანებად დარჩნენ. აი, მე დღესაც ამ გაზეთში წავიკითხე ადამიანზე, რომელმაც გადამარჩინა, ხოლო თვითონ ისეთი პირობები შეექმნა, მეგონა დაიღუპებოდა, მაგრამ... ან გიამბობ. ეს მოხდა ომის დროს ქერჩთან... ნაწილში, სადაც მე მოვხვდი, ერთი ექიმი მსახურობდა ქირურგი...

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. ქირურგი?!

ი რ ა კ ლ ი. ჰო....

(ბნელდება).

* * *

ნათდება სცენის მეორე მხარე. ფრონტი. პავეთულხლართთან მძიმედ დაჭრილი ირაკლი ადგია. იგი ჭერ კიდევ გონზეა.

ი რ ა კ ლ ი. წყალი, წყალი!.. (სიჩუმეა. დროგამოშვებით გაიწოწკინებს შემხვევითი ტყვია. პაუზა). ალბათ, უკვე ყველაფერი გათავდა... (ფორთხვით შემოდის არჩილი. მიმთხვევა) ვინ არის?

ა რ ჩ ი ლ ი. (შეამჩნია მომაკვდავი ირაკლი) შენნაი ვარ... ექიმი... ნუ გეშინია! (მივიდა, ზურგზე წამოიკიდა და მიაქანებს) როგორმე გავაღწევთ!

(კიდევ ისმის ტყვიის წივილი).

ი რ ა კ ლ ი. დაჭრავდე...

ა რ ჩ ი ლ ი. ცოტაღა დაგვრჩა...

ი რ ა კ ლ ი. დაჭრავდე, ექიმო, თავს უშველე...

ა რ ჩ ი ლ ი. არ მიგატოვებ, ლეტენანტო... როგორმე გავალთ!.. (მოისმის ტყვიის წივილი, არჩილიც დაიჭრა) ააჰ... (მაინც უნდა როგორმე გადააღწიოს მავთულხლართს, მაგრამ ძალამ უმტყუნა. ზედ მავთულხლართზე ორივენი უგონოდ გადაეკიდნენ. მოისმის ფაშისტური მარშის ამაზრზენი ხმა. ორი ატომატიანი გერმანელი ჯარისკაცი თავს დაადგა გონმოხდილ არჩილს და ირაკლის. ბნელდება).

ი რ ა კ ლ ი ხ მ ა. შემდეგ კი საკონცენტრაციო ბარაკი.

გრძელდება იგივე ამაზრზენი მარში. ეზოში ჩაუმწკრივებიათ ტრიალ ტანისამოსში გამოწყობილი ნაწამები ტყვეები. მათ შორის არიან არჩილი და ირაკლი. იქვე დგას ხმაბან ეფრეიტორი, რომელიც ჩაბლეჩილი ხმით გაჰყვირის.

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. ცოცხლად, ლორისშვილებო!... მარჯვენა, მარცხენა...

ი რ ა კ ლ ი. (არჩილს ჩუმად) რაღაც უნდა გაბარო...

ა რ ჩ ი ლ ი. რა?!

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. იცვაცვი... იცვაცვი... მარჯვენა, მარცხენა!..

ი რ ა კ ლ ი. ოღი მთავრდება... ჩვენ გავიმარჯვეთ!..

ა რ ჩ ი ლ ი. რას ამბობ?!

ი რ ა კ ლ ი. ნამდვილად... გუშინ პარტიზანებს დაუკავშირდით...

ა რ ჩ ი ლ ი. (ვინ ვერ მოღის) დაიცა... დაიცა... ეს რა მითხარი...

(წამახმაცებლა, ტყვეების მწკრივს გამოეყო, წინა პლანზე მივიდა).

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი. უკან, ძაღლებივლით!..

ა რ ჩ ი ლ ი. (არაადამიანური ხმით) ამხანაგებო!.. ომი მთავრდება... ჩვენ გავიმარჯვეთ...

(მარცხენა ხელი გუდზე იტაცა და წაიქეცა. ირაკლი მწკრივს გამოეყო და მივარდა).

(ბნელდება).

ი რ ა კ ლ ი ხ მ ა. ომი დამთავრდა. და, აი, ერთად ვბრუნდებოდით სახლში. ჩვენ სიხარულით და გულისფანქალით ველოდებოდით. ორდღის მოვალეშეებით სამშობლოდან, მაგრამ მოხდა გაუგებრობა, — ზოგიერთის პროვოკატორული ცილისწამების გამო ამ ქალს ცხოვრებისაგან კიდევ ახალი სასტიკი დარტყმა მოელოდა.

* * *

ვაგონის კუპე. შემოდიან არჩილი და ირაკლი.

ა რ ჩ ი ლ ი. ძლივს მოვახწიეთ...

(ტანვეშენ ადგილებს).

ი რ ა კ ლ ი. სახლში დებეშის გაგზავნაც ვერ მოვასწარით...

ა რ ჩ ი ლ ი. არ უშავს, ჭა დიდი გვაქვს... შემდეგ სადგურიდან გავაგზავნოთ...

ი რ ა კ ლ ი. ხვალ მაინც ხომ მიეყვეთ?!

ა რ ჩ ი ლ ი. მიეყვეთ, მიეყვეთ... (პაუზა) ოთხი წელიწადი...

ი რ ა კ ლ ი. წავშვიდი ოთხი წელიწადი...

ა რ ჩ ი ლ ი. (ამოიღო ქილაღი და წერს) აი, დებეშაც მზად არის... წარმოგიდგენია, რა სიხარულის გამოწვევა შეუძლია ამ ფარატინა ქაღალდს ოჯახში, სადაც, ალბათ, უკვე გამოგლოსილიც ყუვართ.

ი რ ა კ ლ ი. კვლავ სიჩუმეა. (ეკეთება ხმაბანდი თავი. (ეკეთება ხმაბანდი თავზე. ჩაიფიქრა) ალბათ, ჩვენ ვერ მოვასწარით...

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. თქვენ სახეთები, ამხანაგებო!

ი რ ა კ ლ ი. (ადგება) ანებდით! (არჩილმაც მიაყოლა)

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. (სინჯავს ირაკლის სახეთებს. უბრუნებს) გმადლობთ! (სინჯავს არჩილის სახეთებს) ექიმი-ქირურგი. რაზმიდ არჩილ გიორგის ძე (არჩილს) ბიდონს ვიხდი, მაგრამ თქვენ უნდა გამომცეყეთ... ცოტა რამ დასაზუსტებელია...

ა რ ჩ ი ლ ი. რა უნდა იყოს კიდევ დასაზუსტებელი?! ხომ დაზუსტდეს ყველაფერი.

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. ალბათ, რადაც გამორჩათ, ამხანაგო რაზმიდ, წვეიდეთ, ყველაფერი უცბად გაირკვევა. ჰო, ბარგიც წამოიღეთ ალბათ, ცოტა დაეკუთვნოდეთ კიდეც, მატარებელი ხომ არ მოგვიცდის?

ი რ ა კ ლ ი. საოცარია!..

ა რ ჩ ი ლ ი. (ხელს დებეშის ტაქსტს) გასაგებია... ირაკლი, სახლში ნუ გაიგებინებ ამ ამბავს... ცოლი, ალბათ, ჯერაზე შეირყევა...

(ბნელდება).

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. ესე იგი, ის კაცი დაამატიმრეს!

ი რ ა კ ლ ი. ალბათ.

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. კი, მაგრამ, რისთვის, რა დანაშაულისათვის?

ი რ ა კ ლ ი. არ ვიცი... ალბათ, პროვოკატორი ცილისწამების გამო. სხვა დასჯების გამოკანა წარმოუდგენელია... პატიოსანი, პრინციპული კაცი გახლდათ არჩილ რაზმაძე... ტუვეობაშიაც ადამიანებს მეორნალობდა... სხვა დანაშაული მას არ ჩაუდენია.

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. შემდეგ, შემდეგ რა მოხდა?!

ი რ ა კ ლ ი. ან, შემდეგი ამბავიც...

(დგება, მაგიდასთან მიდის, გაზეთის იღებს)

დღევანდელ გაზეთში სწერია...

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. (სწორედ მისკენ მიდის) მომეცით... მომეცით... (ირაკლი აწვდის გაზეთს, კითხულობს) „გუშინ ქალაქის მეორე საავადმყოფოში ქირურგმა არჩილ რაზმაძემ გაკეთა გულის ურთულესი ოპერაცია, ნიჩიერმა დასტაკარმა ადამიანი იხსნა უეცველი სიკვდილისაგან. იგი უკვე მეოთხედ აკეთებს გულის ასეთ რთულ ოპერაციას და წესანიშნავ შედეგებსაც აღწევს“...

ი რ ა კ ლ ი. ან, ხომ ხედავ, რაზედაც გაჯიუტება გადაიტანა კაცმა და მაინც შერჩა ძალა იყოს საზოგადოებისათვის გამოსადეგი კაცი!

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. (ვაოკნებული) მოიცა, მოიცა... ეს რა გავიგე?!

(მიდის თავის საწოლთან, გაზეთისანად ჩაეშვა).

ზ ა ზ ა ს ხ მ ა. მამა, მამა... შენ ცოცხალი ყოფილხარ! (ბნელდება).

გავიდა კიდევ ერთი საათი. ირაკლი მუშაობს, „ს ტ უ დ ე ნ ტ ი“ წევს. „სუსლიკი“ დგება და მორიდებულად მიდის ირაკლისთან.

„ს უ ს ლ ი კ ი“. პროფესორო, ერთი რამე მინდა გკითხო და უარს ნუ მეტყვი!

ი რ ა კ ლ ი. ბრძანე!

„ს უ ს ლ ი კ ი“. აი, წელან უფროსმა გითხრა, — სხვა პატიჭრებთან გადაიყვანო და შენ უარი უთხარი... რატომ უთხარი უარი — იქ ხომ ჭორები არ სხედან. იქ, თქვენებურად რომ ვთქვათ, უფრო „წესიერი“ ხალხი ჯობ?

ი რ ა კ ლ ი. თქვენთან უფრო თავისუფლად ვარ!.. (მეშობა განაგრძო, „სუსლიკი“, ეტყობა, ვერ დაკმაყოფილა პასუხმა. ირაკლიმ შეაშჩნია და მიუბრუნდა). ისინი არ არიან წესიერი ადამიანები, მე ვფიქრობ, თქვენ შედარებით წესიერები ხართ, ვიდრე ისინი...

„ს უ ს ლ ი კ ი“. საავრშვნო პრაკილნი! გამფლანგველებს, კომბინატორებს ტუუილად როდი ვეძახით ჩვენ ფაშისტებს. მერე, მერე?!

ი რ ა კ ლ ი. მათი ბინაზშული უფრო დიდია, ვიდრე თქვენი, იცი, რატომ? მათ გაცილებით მეტი იციან, მეტი განათლება აქვთ, აქვთ სახელმწიფოს, ადამიანების ნდობა. ისინი სარგებლობენ ამ ნდობით და პატიოსანი კაცის ნიღაბს ამოფარებულნი იპარავენ. მათ ენდობიან. თქვენ კი არა... ან როგორი განსხვავებაა!.. შერწყმენ, ისინი უფრო დიდი თაღლითები არიან, უფრო მეტად საშიში ხალხია, ვიდრე თქვენ!

„ც ი ფ ა“. (პირი დაალო) ვაა, მართალს ამბობს, ხომ იცი?!

„ს უ ს ლ ი კ ი“. პროფესორო, ძალიან შეგვაყვარე თავი და არ ვიცი, როგა დავცილდებიით...

ი რ ა კ ლ ი. არ უნდა დავცილდეთ... ადამიანები, როცა შეეთვისებიან და ენდობიან ერთმანეთს, — არ სცილდებიან... მე შენ გენდობი.... აი, გავთავებთ სასჯელს, მოდი ჩემთან... იქნებ ისეთი გამოსავალი გირჩენო, რომ ჭკუაში დაგიდგეს!..

„ კ ო ნ დ ა რ ა“. ეჰ, პროფესორმაც ავიდაცია დაიწყო!..

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“ (წამოიწია, „კონდარას“ შეუტევია) მოცეტე!..

(პაუზა).

„ც ი ფ ა“. მოდიან!

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. ვინ მოდ ან?

„ჭ ი ნ ა“. ეჭიბი!

(ატუდენტი“ ისევ წამოწვა. შემოდის ლევანი, ზედამხედველის თანხლებით).

ლ ე ვ ა ნ ი. აბა, მიჩვენეთ სად არის ავადმყოფი?

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. მობრძანდით, აი, აქ არის!

(ლევანი სინჯავს „ბოღმას“. პატიმრები ყურადღებას არ აქცევენ).

ზ ა ზ ა ს ხ მ ა. იცი თავისი ფეხით მოვიდა... მე მას დიდი ხანი ვეძებდი, მოვიდა კაცი, რომელიც უნდა მომეკლა...

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. (ადგა ფეხზე) ეს ხომ ლევანისაკენ. შეკრთა, წამოდგა. „სუსლიკს“ ხალიც ანიშნა, მანაც სიფრთხილე მებუთო გამოამჭირნახა და შეუმჩნეველად გადასცა. ისეთ შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ლევანს დანა უნდა ჩასცეს. ირაკლი გაფთრდება).

ი რ ა კ ლ ი. დინჯად, დინჯად... სისულელეებს თავი დაანებე!..

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. ჰო, კარგი, კარგი... არაფერი არ მოხდებ ბა!..

ლ ე ვ ა ნ ი. (ზედამხედველს) მდგომარეობა რთულია. ავადმყოფი ახლავე გადაიყვანეთ საავადმყოფოში.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი. არის! („ბოღმას“) აბა, წამოდექ... თუ გინდა, საკაცეს მოვატანინებ...

„მ ო რ ი ე ლ ი“. (წამოწეწა). წამოვალ, როგორმე!... (ლევანიც ეხმარება, წასულს ასპირებენ).

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. ეჭიმო, ერთი წუთით!

ლ ე ვ ა ნ ი. (მიბრუნდება) რა გნებავთ?!

ი რ ა კ ლ ი. (სტუდენტს) დინჯად-მეთქი!

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. მეც ავად ვარ, გამსინჯეო!

ლ ე ვ ა ნ ი. რას უჩივით?

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. გულს... აქეთ მობრძანდით, გეტყვით!.. (ორივენი მოდიან ნაწილობით) გული ქვაბავით მაქვს, მე სხვა რამე მაწუხებს!..

ლ ე ვ ა ნ ი. (გაოცებული) მითხარით, რა გნებავთ?!

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. (თავისთვის) არ ვიცი, რამ მაიძულა... ნუთუ მე უარყვავი ის, რაშიც ახე ღრმად ვიყავი დარწმუნებული?

ლ ე ვ ა ნ ი. თქვე მე მითხარით რამე?

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. საიდან დავწუო არ ვიცი... დიახ, დიახ, თქვენ!... (პაუზა). აჩა. ეს ყველაფერი ჩემში უნდა მოკვდეს და დაიმარხოს!

(ზურგი შეაქცია და წასვლა დაპირა).

ლ ე ვ ა ნ ი. (ზურგზე ჰკიდოსა შეაშჩნია) მოიცა, მოიცა... ეს ჭრილობა... თუ არ ვცდები, ეს ოპერაცია დაახლოებით ექვსი თვის წინათ ცისუში და გავკეთე.

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. დიახ.

ლ ე ვ ა ნ ი. (ათვალიერებს) ჭრილობა ღრმა იყო და დაგტყობიათ!

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. მანამდე ხომ არ გინახივართ სადმე?!

ლ ე ვ ა ნ ი. არა მგონია...

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. თუმცა, მჯერა, ვერ მიცნობდით... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ცხრა წელიწადმა...

ლ ე ვ ა ნ ი. (აკვირდება, გაოცდა, უან იხეკს). ღმერთო, ნუთუ ეს სიმართლეა?!

„ს ტ უ დ ე ნ ტ ი“. (ჩუმად) სიმართლეა, მამინაცვალო, სიმართლე!

ლ ე ვ ა ნ ი. (იქვე ჩამოჯდა, ცრემლი მოერია) ზაზა, ზაზა!.. (შემოიღიან ნუგზარი და მეორე ზედამხედველი).

ნ უ გ ზ ა რ ი. (ლევანს) ლევან, როგორ არის ის პატიმარი?..

ლ ე ვ ა ნ ი.. (უანრად) გადაიყვანეთ საავადმყოფოში...

(პაუზა. ნუგზარი რაღაცას მიბედა. ზედამხედველებს გაჰყავთ „ბოღმა“).

ნ უ გ ზ ა რ ი. (ლევანს) რა მოხდა?!

ლ ე ვ ა ნ ი. ნუგზარ, ძალიანა გთხოვ (ზაზაზე მიუთითებს) ამ პატიმართან საუბარი მინდა, შემახვედრე!..

ნ უ გ ზ ა რ ი. ნათამესთან?.. შენ მას იცნობ?!

ლ ე ვ ა ნ ი. ჰო!..

ნ უ გ ზ ა რ ი. კეთილი, როდის გინდა?

ლ ე ვ ა ნ ი. ახლავე. ახლავე, თუ შეიძლება!

ნ უ გ ზ ა რ ი. ახლავე? რატომ არა, შეიძლება... წავიდეთ!..

ლ ე ვ ა ნ ი. (ზაზას) რას გატატყლებულხარ ბიჭო?! ჩაიცვი რამე, გაცივდები!

(ზაზამ ზედა ტანსაცმელი ჩამოიცვა. მოდის წინა პლანზე).

ზ ა ზ ა. ზოგჯერ ადამიანს ებადება ისეთი სურვილი, რომლის მერე მოგონებაც გზარავს, გრცხვენია!..

(ამოიღო ბებუთი და ჩუმად გადაადგო. გადიან).

„ს უ ს ლ ი კ ი“. ბიჭებო, ჰე რადაც ამბავია!..

ი რ ა კ ლ ი. (აჭამდე თითქმის თავისთვის მეშობდა, ახლა თავი ასწია და წასულებს გაჰცივა) და ისეთი დიდი ამბავი, ჩემი კარგო, რომელზეც შენ კი არა, მეც არა მაქვს წარმოდგენა!

ზ ა ზ ა ს ხ მ ა. და ამა, ჩვენ მარტონი პირისპირ შევხვდით ერთმანეთს. ცნობილი დახტაკარი და სისხლის სამართლის დამნაშავეგერი და მამინაცვალი. მე მაშინ, სიძულვილის გარდა, ყოველგვარი ადამიანური გრძნობა დავიწუებული მქონდა და თვითონაც არ ვიცო-

დი რა მინდოდა. ალბათ სადღაც გულის კუნჭულში დაფარული მქონდა ისეთი რამ, რომელიც კოლინიის უფროსმა და ფილოსოფოსმა ადმანანებს და რაღაც ახალი მაგრძნობინებს. ჩანდა, რომ ჩემში ღვივობდა ადამიანი...

ნახეს ადვილი. ზაზა და ლევანი.

ზ ა ზ ა. სიმართლე გითხრათ მე არ მინდოდა გამოცნარება, მაგრამ ეს თავისთავად მოხდა... თავში უეცლად ხელახლა აირია, როგორც ამ ცხრა წლის წინათ და...

ლ ე ვ ა ნ ი. ზაზა, მე ვიცი, შენ გამიგებ, — ყოველივე ის, რაც ჩვენს ოჯახში მოხდა... მე რომ არა...

ზ ა ზ ა. (აწუვეტინებს) ვიცი, მესმის, რაც გინდა სთქვათ, თქვენ რომ არა, ჩვენი ოჯახი არ აირეოდა.

ლ ე ვ ა ნ ი. და შენ არ ახცდებოდი გზას!

ზ ა ზ ა. უკაცრავად, გზასაცდენილი თქვენ ხართ.... მე ჩემს წრეში პატიოსან კაცს მეძახიან... ეს თქვენ არა გაქვთ რიგზე უვლილფერი.

ლ ე ვ ა ნ ი. მე ვგრძნობ ამასაც..

ზ ა ზ ა. მერე!

ლ ე ვ ა ნ ი. მოდი, ნურაფერს დავუმალავთ ერთმანეთს. გავარკვიოთ ყველაფერი, რაც მოხდა.

ზ ა ზ ა. მერე თქვენ შეგიძლათ თქვათ სიმართლე?! ხომ გახსოვთ, რა მწარედ მომატყუეთ?

ლ ე ვ ა ნ ი. მახსოვს, მახსოვს და დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის.

ზ ა ზ ა. კარგი, გავარკვიოთ... სიდან დავიწყოთ?!

ლ ე ვ ა ნ ი. დავიწყოთ ომიდან... ომი რომ არა...

ზ ა ზ ა. გასაგებია... თქვენ ფიქრობთ, მარტო ომია დამნაშავე?

ლ ე ვ ა ნ ი. მე ვიცი, რა თქმა უნდა!

ზ ა ზ ა. ცდებით... განა მარტო ომი?! მე ბევრი ვიფიქრე ამაზე... ომი ბევრისათვის გამოცდა იყო... რატომ არ დაეღოდა დედა-ჩემი ქმრის დაბრუნებას... ის ხომ არ მოუკლავთ?!

ლ ე ვ ა ნ ი. არ დაელოდა...

ზ ა ზ ა. არ დაელოდა, იმიტომ, რომ ალბათ, ნამდვილი სიყვარულით არ უყვარდა... არ უყვარდა ისეთი დიდი სიყვარულით, როგორაც მე მამაჩემი მიყვარს ან დედაჩემს როგორც მე ვუყვარვარ, თქვენ უყვარხართ!

ლ ე ვ ა ნ ი. მართალი ხარ, ზაზა!

ზ ა ზ ა. თქვენც დამნაშავე ხართ. სხვები... იქ ფრონტზე სისხლს ღვრიდნენ, იხოცებოდნენ.. თქვენ კი აქ იყავით ზურგში და ფრონტელის ცოლი შეიყვარეთ... და თქვენ გიცვიდათ, რატომ გავიქეცი სახლიდან, — მე დავკარგე ადამიანების ნდობა... მომაკაცება ვეღარ მოვედ, ქომაგურეთ ერთმანეთს... გახსოვთ როგორ მიყვარდით!..

ლ ე ვ ა ნ ი. მახსოვს, მახსოვს...

ზ ა ზ ა. თქვენ მე ხელოვნად გამქურდეთ და არ გიკვირთ, ხოლო ჩემი ქურდობა... გაოცებთ, არა?

ლ ე ვ ა ნ ი. მე უკვე არაფერი მიკვირს, ზაზა!

ზ ა ზ ა. დიახ, თქვენც კურდები იყავით! თუმცა, თქვენზე არ მოკმედებს სისხლის სამართლის კოდექსი... ეს არცერთი შუხლი არ ითვალისწინებს მსგავს დანაშაულს.

ლ ე ვ ა ნ ი. დიახ, დამნაშავენი ვართ... მაგრამ მე დანაშაული კარგი გულით მომივიდა... მეგონა ჩემი მოსწავლთ ბედნიერებას მოვუტანდი დედაშენს, შენც... მაგრამ პირიქით გამოვედი... ამას მერე მოგვიდი...

ზ ა ზ ა. მე მესმის თვენი...

ლ ე ვ ა ნ ი. დ, ა, ა, პატარძალ განსაკუთრებული მონდომებით გეძებდი, გეძებდი იმიტომ, რომ მე ჩემი ადამიანური სინდისი მჭერნდა.

ზ ა ზ ა. (პაუზა. შეხედა) იცით თუ არა, რომ მე თქვენ მძულდით, ძალიან მძულდით და თქვენი მოკვლა მინდოდა.

ლ ე ვ ა ნ ი. მერე, რამ შეგიშალათ ხელი?

ზ ა ზ ა. ადამიანებმა... მე შემხვდნენ ადამიანები, რომელთაც სულ სხვა თვალებით დამანახეს ცხოვრება. მერე კიდევ თქვენთან შეხვედრამ, ჯერ იქ, როცა ეს ზურგი გამიცრეთ და ახლა აქ საუბარმაც...

ლ ე ვ ა ნ ი. ზაზა, იქნებ მითხრა, რითი, რითი უნდა გამოგასწორო ეიდო...

ზ ა ზ ა. არაფერი... მოუარეთ დედას... მე კი.. განა შეიძლება კაცმა დაკდეწოს თავი უბედურებას, როცა იგი ყოველდბრივ შემოგვილია?

ლ ე ვ ა ნ ი. შეიძლება, ზაზა! შეიძლება ადამიანს შეემთხვეს ისეთი რამ, რომელიც შეიძლებოდა არასოდეს არ შემთხვეოდა... მაგრამ არასოდეს არ უნდა დაარწმუნო საკუთარი თავი, რომ შენთვის უეცლაფერი დაკარგულია, ვიდრე ცოცხლები ვართ, ვიდრე ადამიანის სახელს და სახეს ვატარებთ...

ზ ა ზ ა. ადამიანი მრავალნაირია...

ლ ე ვ ა ნ ი. გარდა ამისა, რომ შენ ვეძახის ცხოვრება, — ვეძახის ადრეთვე დედა, ვეძახის...

ზ ა ზ ა. ვიცი ვინც მეძახის... მეძებს ყველაზე უდანაშაულო კაცი, მამაჩემი!

ლ ე ვ ა ნ ი. სიდან იცი?

ზ ა ზ ა. (ცოტას აჩერებს) არ წაგიკითხავთ? (პაუზა) ძალიან გთხოვთ, ნურც დედას, ნურც მამას ნუ შეატყობინებთ ნურაფერს ჩემი არსებობის შესახებ... (თავისთვის) მამა, მე შეიძლება თვითონ ვნახო.....

ლ ე ვ ა ნ ი. საჭირო კია ამ თხოვნის შესრულება?!

ზ ა ზ ა. ისინი, ალბათ, ცოცხლობენ ეს იმედით, რომ იპოვნან ღირსეულ შვილს, ხოლო ეს შენგვიბიან... ეს ეთათვის კიდევ ახალი უბედურება იქნება.

ლ ე ვ ა ნ ი. ზაზა, ისინი შენი მშობლები არიან, — ამით ყველაფერია ნათქვამი, ხოლო შენ ცუდი ხარ, თუ კარგი, ეგ უკვე სხვა ამბავია და ცუდადება არ უნდა მიაქციო.

ზ ა ზ ა. მე ვიფიქრებ ამაზე, ბატონო ლევან... წარმძანდით, ბევრი დრო წაგართვით... წარმძანდით, წარმძანდით... მე ახლა მარტო მინდა ყოფნა... ბევრი, ბევრი უნდა ვიფიქრო! (თავისთვის) ეეჰ, ნეტავი პროფესორი დაინტერესო არ დამხედნა!..

ლ ე ვ ა ნ ი. კარგი, ნახვამდის, ზაზა!

ზ ა ზ ა. ნახვამდის, ბატონო ლევან. კიდევ გთხოვთ, ნუ გამამხელთ!

ლ ე ვ ა ნ ი. კარგი, რა გიფუოძა! მე კი კვლავ გინახულებ, ხომ შეიძლება?

ზ ა ზ ა. შეიძლება, რა თქმა უნდა, შეიძლება... მე თქვენ ახლა მჭირდებით, ძალიან მჭირდებით!..

ლ ე ვ ა ნ ი. ნახვამდის... გახსოვდეს, ვიდრე ცოცხლები ვართ... კაცი იმედით ცოცხლობს!

(მიდის).

ზ ა ზ ა. (მარტო) მეც დამნაშავე ვარ... ცხოვრება უფრო რთული ყოფილა, ვიდრე ეს ბავშვობისას გვაქვს წარმოდგენილი. (პაუზა) კარგ ცოცხლები ვართ! არ ვიცი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე... თითქოს გულში რაღაც ჩამწყდა... ეეჰ, თავისუფლად ყოფნა ისე მომინდა, როგორც არასდროს!...

(ბნელდება).

ისევ ოთახი. ყველას სძინავს, არაკლილა ფხიზლობს. სამუშაოს თავი გაანება. პატიმრებს გადაეღება.

ი რ ა კ ლ ი ს ხ მ ა. სძინავს დამნაშავეთა სამყაროს... ღრმა ძილი დაუფლებია. შეხედეთ, რა უმანკო სახეებით სძინავთ... „კონდარას", „ჯინკას", „ცქიფას" შეხედეთ!... ამათაც უმანკო ძილით დაუნიათ... თითქოსდა მამა ამრამის ბატკნები არიან, უცოდველები... ისე კი, ღამე სადმე მოხრჩუნდეთ ადგილს რომ შეგხვედეთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ხელის არ დაგაყრიან. სძინავთ... საოცარია ბუნება, ყოველი სულდგმული ერთნაირად ეფორჩილება მის მრისხანე კანონებს.... ძინავთ, „აწყეთ"ზე", ძინავთ!

(პაუზა. ბრუნდება ზაზა. იგი უაზრო თვალებით მოდის, თითქოს გარშემო ვერაფერს ამჩნევს).

ირაკლი. ვინ იყო ის კაცი?

ზაზა. ის კაცი?... ნაცნობი ექიმი...

ირაკლი. რაღაც მარტო ნაცნობს არ ჰგავდა... რად მომალე?

ზაზა. თქვენ რა უნდა დაგიმალოთ, მაგრამ... ეეჰ, სჯობია ისევ გულში ჩავიკლა ყველაფერი!..

ირაკლი. უცნაურად იქცევი... ეტყობა, იმ კაცმა ძალზე ჩაგაფერა.

ზაზა. ჩამაფერა, ჰო, ჩამაფერა... რა ვქნა მერე?!

ირაკლი. მე ერთმა აზრმა გამიელვა... თუ გინდა, გეტყვი?!

ზაზა. თქვით, ბატონო ირაკლი, თქვით... ლმობიერმა დაბძრიალოს!..

ირაკლი. კარგი, გეტყვი... კარგად მომისმინე... რაკი ცცოცხლობთ, ჩვენ უნდა ვიცოცხლოთ, რა გინდ აუტანელი იყოს ჩვენი ცხოვრება. ყოველ ადამიანს სურს იცოცხლოს, მოუხდებაც იმიტომ, რომ მან იცის, — ადრე თუ გვიან მაინც უნდა მოკვდეს. იგი ვეღარ ლიფერის აკეთებს იმისათვის, რათა დაკანონის სიკვდილს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გამოუხდა. ყველაფერი, რასაც მთაწილა ადამიანმა, მიაღწია სიკვდილთან ბრძოლაში. ხომ კარგად მიგიდებ ყურს?

ზაზა. რა თქმა უნდა!

ირაკლი. ჰოდა, ადამიანის მიერ შექმნილი ატომური ენერგია, სათავისო მანქანები, რომლებიც სამყაროს სიერცეში დაფრინავენ, ლუქსები და სამხედრები, მუსიკა, ცეკვები, — ყველაფერი გაეეთებული იმისათვის, რათა მან ეფარო იოლად გადალახოს გაბაჯარი... იცი, რა ბინდოდა მეთქვა?! ადამიანი ყოველთვის ელოდება უკეთეს და უკეთეს მერმისს.. კიდევ, იცი, რას გეტყვი: ახე მგონია, როგორც მე, ისევე შენ, აქ პატიმრობაში შემთხვევით ვართ.

ზაზა. ვერ გავიგე... თქვენ კიდევ ჰო, — შემთხვევით მოგიყვდათ ავარია და შემთხვევით მოხვდით აქა... მე ხომ კანონიერი ქურდი ვარ?!

ირაკლი. გამიგე, შენც შემთხვევით ხარ მეოჯი... შენც შენდა უნებურად მოგიყიდა ცხოვრების ავარია... და ყოველი ავარია ხომ ნიშნავს კატასტროფას, დადუპვას! მე ერთი გულწრფელი რჩევა მინდა მოგცე, — შეიძლება?!

ზაზა. ბრძანეთ!

ირაკლი. (პატიმრებზე მიუთითებს) იცოდე, საბოლოოდ ამით მაინც უნდა ჩამოცილდე... შენც და სულელაც...

ზაზა. ოი, ძნელია, მეგობარო, მეტად ძნელი!

ირაკლი. როგორც ჩანს, იოლი არც ჯურმაბაა! (ზაზა ჩუმადაა) ამა, ერთხელ კიდევ სინჯე, ვიდაკანონე ის სინდელე, რომელაც ჩიხამდე მიგიყვანა. სტუდენტო, შენ გენახის?! შეიძლება მოიპარო ფული, მაგრამ ბედნიერება ვერა... მე ჭკერა, რომ აქედან წვალ ლა უკეთესად ვიცხოვრებ... შენ კი... შენ ჯერ კიდევ ძლიერ ახალგაზრდა ხარ... ყველაფერს მოაღწევ... აჩქარებ ყველაფერი როდია ცუდად მოწყობილი... ხმას რატომ არ იღებ? დაგეძინა?! (ზაზა ჩუმადაა). დაგიძინო, მეგობარო, დაგიძინო... ხვალაც, ზეგაც, ხაჯმაო დრო გვაქვს სალაპარაკოდ!

(ჩაეძინა, დიდი პაუზა).

ზაზა. ხმა არაა... მე უკვე იქ ალარ დამიდგომებოდა. მე უნდა მენახა ადამიანი, რომელიც მელოდებოდა... რომლისთვისაც მე აუცილებელი ვიყავი...

ზაზა. პროფესორო!... (ირაკლი ხმას არ იღებს) ბატონო ირაკლი! (ჩუმადა ადგა, მიიხედ-მოიხედა, ჩაიცქვა) მგონი ყველას ხძინავს... (საწოლქვეშ შეძერა და რამდენიმე ავერი გამოიტანა, სულ მცირე ხმაური დიდად გაისმა).

„კონდარა“. (თვალი დაახელსტა) ვინ არის?!

ზაზა. ყველაფერი ჩამეშალა... („ქონდარას“) მე ვარ!

„კონდარა“. რას გამოგიღია ეს აგურები, ვინმემ რომ დაგინახოს?!

ზაზა. შევამოწმე, გავდგრები თუ არა...

„კონდარა“. მაშ, რაღად ჩაგიცვამს?!

„ინკა“. (თორმე მასაც გამოეკეთა) უჩვენოდ ხომ არ აპირებდი წასვლას?

ზაზა. (შეატყო გამოუვალი მდგომარეობაა) ჰო... წასვლა მინდა.

„კონდარა“. აკი ხვალ სალამოს უნდა გავქცულიყავით?!

ზაზა. (მოიფიქრა) დღეს გავიგე, რომ ხვალ მგონი ეტაპით მიუვალთო...

„ინკა“. ვეე... მართლა?!

„კონდარა“. (ლეიძებს „სუსლიკას“ და „ცქიფარს“) ეე, მოდრეგებო, გაიღვიძეთ!..

„სუსლიკა“. რა ამბავია?!

„ცქიფარი“. რა იყო, კაცო... ვისა კლავენ?!

„ინკა“. ხტუდენტი ხვალ ეტაპით მიმაყავთ!

„სუსლიკა“. ბერე მე აქ რა მინდა?!

„კონდარა“. ლოლ... ჩაიცვით, წავიდეთ!

(აიშალნენ, სწრაფად იცვამენ).

„ინკა“. ხად შევხვდეთ?

„კონდარა“. შეფთან... ახა, წავიდეთ...

„სუსლიკა“. მოიცათ... პროფესორის რა ვუყოთ?

„ცქიფარი“. ჩუმად, ან გაალვიძოს!..

„სუსლიკა“. ჩვენ რომ გავიქცეთ, მაგას მოთხოვენ პასუხს, რატომ არ იყვირეო... (პროფერა) თან წავიყვანოთ!..

ზაზა. დაიცა... ან წამთვან ჩვენი გულისთვის კაცი ჩავარდეს?! პროფესორო, გაიღვიძე!...

„კონდარა“. გაუშვი, იძინოს!

ზაზა. (შეეხებერის) რას ამბობ?!

„სუსლიკა“. გააღვიძე, გააღვიძე!..

ზაზა. (ლეიძებს) პროფესორო, გაიღვიძე!...

ირაკლი. (გაიღვიძა. ჩაცმული პატიმრები რომ დაინახა, გაიცქა) რა ამბავია?!

ზაზა. ჩვენ მივდივართ...

ირაკლი. (გაოგნებული) სად მიდიხართ, კაცო... ვინ გიშვებთ?!

„კონდარა“. თავისუფალ ჰაერზე, პროფესორო... მოკვებზრდა ოთხი კედელი, არ გინდა ჩვენთან წამოხვიდეთ?!

ირაკლი. (ვინს ვერ მოსულა დაიცა... დაიცა...

ზაზა. პროფესორო... ჩვენ კარგა ხანია ვემზადებით გახაკცევად. თქვენ გიმალადეთ... ან ამ საწოლ ქვეშ ამოთხრილია ორმო, რომელიც ცენტრთან თოკში გადის... თოკი ღრმაა და მის ქვეშ გავიყვანეთ გვირაბი, სიდაანც ხიჩეთ კოლონიის ტერიტორიას გავეელით, ხოლო შემდეგ...

„სუსლიკა“. შემდეგ ალაბი იქნება ჩვენი. მფარველი!

ირაკლი. ბიჭებო, ტუფლებსალოდ თავს რატომ ღლუპავ? (ზაზას ხელი ჩაიელო) რას აკეთებ, გენსიხ?! იცოდეთ, ვიტყვე... (ამ დროს „ცქიფარმ“ მოულოდნელად პირსახოცი ჩასჩარა პირში.

ზაზა. შეკარით, სწრაფად!

(ირაკლი უცბად შეცრეს და საწოლზე დააწვინეს).

„ცქიფარი“. ნახვამდის, პროფესორო!

(პირველი მიძერება).

ზაზა. (მივიდა ირაკლისთან, გადაეხვია) მაპატიეთ... სხვანაირად არ შემიძლია... კოლონიის უფროსს უთხარით, რომ მე დავბრუნდები... უთუოდ დავბრუნდები!..

(ხაჩქარიდ მიძერება. ბნელდება).

ფ ა რ დ ა

ნანილი მესამე

მოისმის სიმღერა

„თოვლიანი დღე,
თოვლიანი მთები“ და ა. შ.

ოცდათერთმეტი დეკემბერია, სალამოს ათი საათი. სცენაზე მოჩანს თბილისის ხედი. ჭიქა. შემოდის ზაზა. იგი მარტოა. ნელა მოკალათებს და გულდაჯერებული შესცქერის სადღესასწაულოდ მორთულ, ელრიამულებებულ ქალაქს.

შენერგია. თვალი გაადევნეს ხელისხელჩაყრებულ, ალბათ, საახალწლო ზეიმზე მიმავალ ქალ-ვაჟს, რომელთაც ხალისიანად გადაჭრეს ჭიქა და მიიმალნენ, მან საოცარი სიცივე და მარტოობა იგრძნო. შემდეგ ისევ განაგრძო გზა. შერჩილა... აი, კიდევ გაიარა ერთმა წყვილმა.

ზაზა შეკრთა, მღელვარება დაეტყო, თითქოს ვიღაცას ელოდებაო.

უცებ ყველაფერი შეიცვალა... ისევე ადგილი, ისევე ჭიქა, მხოლოდ ზამთრის ნაცვლად გაზაფხული, — ამრილი... ირგვლივ ყვავილები, ყვავილები, აფეთქებული ცისკრები...

ზაზა ისაბნის ტატით ხელში ელილები მას... ის კი არა ჩანს, იგვიანებს... თუმცა ის, ისიც!.. შემობის სიცოცხლით სავსე გოგონა. პირდაპირ ზაზასკენ გაეშურა.

გოგონა. დაგიგვიანე, არა?!

ზაზა. არა... მე ლოდინს მიჩვეული ვარ!..

გოგონა. წამოდი, ჩემთან წავიდეთ!..

ზაზა. არა!..

გოგონა. წავიდეთ, წავიდეთ! წავიდეთ!..

ზაზა. არა, მე შენთან ვერ წამოვალ!..

გოგონა. (დაჟინებით) წავიდეთ... არ გინდა ჩემთან! იქ სულ მარტონი ვიქნებით...

ზაზა. (ამლეკი ისაბნის ტატს) აი, ეს შენთვის... ბალში მოვლებულ...

გოგონა. (გამოართვა, მაგრამ, ჩანს, ეყოის ასეთი შეხვედრით უკმაყოფილოა) მე ვიცი, რომ შენ... მე...

ზაზა. რა მე?!

ზაზა ხმა. მე შენ მიყვარხარ!

გოგონა ხმა. მეც!..

ზაზა. შენ მე მელოდი?!

(გოგონა მიეახლა და ჩაეხვია).

გოგონა ხმა. გელოდი, გელოდი...

(ორივენი გარშიან სიხარბეში. გოგონა საქმეებზე შემდგარა, ხილო ვიეი აწუვეს. გოგონა იცინის, კისკისებს... ბედნიერი, გახარებული ზაზა მას შესჩერებს. გამოჩნდა არჩილი).

არჩილი. ზაზა!..

ზაზა. (შერცხვა) მამა!...

არჩილი. კარგი გოგონაა.. დიდი ხანია იცნობ?

ზაზა. გუშინდელზეა...

არჩილი. გუშინდელზე?! ჰო, ეს კარგია... გელოდა?

ზაზა. ჰო, მელოდა...

არჩილი. მე კი არ დამელოდნენ!..

ზაზა. მე ხომ გელოდი, მამა?!

არჩილი. შენ გელოდი, მელოდი, მაგრამ... იცი, შვილო, ამ ქვეყანაზე შეიძლება ყველაფერი იყოდო, შეიძინო, მოიპარო კიდეც, ბედნიერების გარდა!

გოგონა. წავიდეთ, ზაზა!.. (არჩილს) ხომ შეიძლება?!

არჩილი. წადით, შვილები, წადით!

(უცებ ყველაფერი გაქრა, ისევ ოცდათერთმეტი დეკემბრის ღამეა. ზაზას თავის სახლის ეზოში ეხედავთ).

ზაზა. ეს მხოლოდ ოცნება იყო!

არჩილის ხმა. იცი, შვილო, ამ ქვეყანაზე შეიძლება ყველაფერი იყოდო, შეიძინო, მოიპარო, კიდეც, ბედნიერების გარდა!

ინა კლის ხმა. ტატფენები, შენ გესმის.. შეიძლება მოიპარო ფული, მაგრამ ბედნიერება ვერა... მე მჯერა, აქედან წავალ და უკეთესად ვიცხოვრებ... შენ კი.. შენ ჯერ კიდევ ძლიერ ახალგაზრდა ხარ... ყველაფერს მოაღწევ... ამქვეყნად ყველაფერი როდია ცუდად მოწყობილი!

ნუგზარის ხმა. ვფიქრობ, დადგება დღე, როცა შეგეცვლება შეხედულება... ცხოვრება თავისას გაიტანს!

ნინოს ხმა. ოთახში არავინ არ არის. იქიდე მორთულან. ნახვის ხე. ისმის ტელეფონის ზარის ხმა. შემოდის ნინო. იღებს ყურმილს.

ნინო. გისმენთ!

ლევანის ხმა. ნინო, საახალწლოდ მზადა ვართ?

ნინო. შენ გელოდები! რად ავკიანებ?!

ლევანის ხმა. უკვე ჩაგხვეი ვარ. მალე მოვალ... ახალი ხომ არაფერია?

ნინო. არაფერი! უკვე თერთმეტი საათი სრულდება... დრო-ით მოდი.

ლევანის ხმა. მოო...

ნინო. შენ მგონი, რაღაცის თქმა გინდა?!

ლევანის ხმა. არა, არა... არაფერი!..

ნინო. ლევან, გუშინდელს ამჯო... თითქოს რაღაცას მიმალავ...

ლევანის ხმა. არა, არა... შენ გეჩვენება! მელოდე, ახლავე მოვდივარ!

(ნინომ ყურმილი დაკიდა. ზამთრის ღამის მყუდროებას უერთდება ასეთივე ჩუმი არჩილის საყვარელი მელოდია, რომელიც ახლა თითქოს ქარიშხლის მომასწავებელია. ბნელდება).

ეზოში ისევ ზაზას სილუეტი გამოჩნდა. იგი დინჯად დათოვლილ სკამზე ჩამოჯდა.

ზაზა. ან, ჩემი სახლიც!..

(თვალწინ თავისი ბავშობა წარმოუდგა. კარებში ჩადგა თოთხმეტი წლის ზაზა).

პატარა ზაზა. შენი სახლი?! შენ სად გაქვს სახლი... ეს ჩემი სახლია!

ზაზა. ჰო... ეს ზაზა ჩაზმაძის სახლია...

პატარა ზაზა. ზაზა ჩაზმაძე მე ვარ... შენ კი ბავშვობის შემდეგ ჩაზმაძე აღარა ხარ...

ზაზა. მართალია... ნეტავ რა ამბავია ამ ცეკლებს აქით...

პატარა ზაზა. სრული სიმშიდეა... დედა კვლავ ჭადებურად უკრავს, ისევე მელოდიობს, მამაჩემის საყვარელი მელოდიით ახლა მეორე ქმარს აბკობს...

ზაზა. (ირანიით) ოჯახური იდილია... ნეტავ, როგორ გამოაცურება დედა... მამა... მამა შეიცვალა, ალბათ...

პატარა ზაზა. შეიცვლებოდა, შეიცვლებოდა... განა ადვილია დაჰკარგო ყოველივე — ცოლი, შვილი...

ზაზა. მეც შევიცვალე... აი, ვდგავარ და საყურარ სახლში ვერ შევსულვარ, ბუნაგიდან გადგებული ქეციანი ძაღლივით დავწანწალებ!.. კმარა, უნდა მორჩეს ყველაფერი!..

(მდის კარებისაკენ, პატარა ზაზა წინ გადაუღება).

პატარა ზაზა. სად მიდიხარ, ეს ჩემი სახლია!..

ზაზა. ვინა ხარ, მომწყენი თავიდან!.. (პატარა ზაზა ქრება, ზაზა მიდის სადარბაზო შესასულოთან, დარეკა, ოთახი ნათება, ნინომ დაკარა შეწყვიტა).

ნინო. (ადგა, კარებისაკენ მოდის) რა მალე მოვიდა... ახლავე, ლევან! (ყარს აღებს. ზაზა დედის ხმის გაგონებაზე უცბად მოტრიალდა და მიიმალა) ვინ არის?! (ზაზა უხმოდ დგას და ხარბად უყურებს დედაშის) ვინ არის? არავინ ჩანს... ნუთუ მომეჩვენა?! (კარი დაიკეტა. ოთახში ბნელდება. თოთხმეტ მიწუთან ამოძგერენი, ზაზას თავს დადგნენ „ჭინკა“, „სუსლიკი“, „ცქიფუ“ და „კონდრაშა“).

ზაზა. თქვენ აქ საიდან გაჩნდით?!

„ჭინკა“. მარტო ხომ არ დაგტოვებდით!... რაღაც უხალისობა შეგატყვეთ.

„ხუსლიკი“. ჩვენ შორიახლო ავედექენით და ცვლილაცვლ მოგდევთ.

„ცქიფუ“. ამ სახლში რა გინდოდა?

ზაზა. ერთი კაცი უნდა მენახა, მაგრამ სახლში არ დამხვდა... ახლა აქ ველოდები... ბიჭებო.. წადით, თავი გამანებეთ, მე საქმე მაქვს!

„ჭინკა“. მერე უჩვენოდ?

„ხუსლიკი“. რა საქმე გაქვს იხეთი, რომ ჩვენ გეტოვებ?

ზაზა. გადაუდებელი, პირადი საქმე...

„ჭონდარა“. არ შეიძლება, ჩვენც რომ გავიგოთ?

ზაზა. არა, არ შეიძლება!... თავი გამანებეთ!...

„ჭონდარა“. (ზაზას) შეგმა დიდი საქმე მოგცა — არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეჭველი ვარიანტი, რომ ამაღამ გათენებამდე ვიშოვნით ძალიან ბევრს, საიუველირო მაღაზია... გაყოფა შეფიანად ექვს კაცზე.

„ც ქ ი ფ ა“. კარგი საქმეა.. ისე ვარ დამშეული, შეიძლება ასი მანეთისათვის კაცი მოვკლა!

„ჭ ი ნ კ ა“. ახლა ამ ქესატობის დროს ფულის გულისათვის ჯოჯოხეთში ტარტაროზის გაქურდვასაც ვიკისრებ!

„ს უ ს ლ ი კ ი“. მე მზადა ვარ!..

(ზაზა დუმს, ყველანი მას მისჩერებიან).

„ქ ო ნ დ ა რ ა“. რას იტყვის?!

ზ ა ზ ა. (გადაწყვეტით) მე ვერ წამოვალ!

„ჭ ი ნ კ ა“. (გაუკვირდა) რას ამბობ, ვეე... ხომ არ გაგიყდი?!

ზ ა ზ ა. ეეჰ, ბიჭებო, თქვენ არ გესმით... ვერც გამიგებთ, რომ გითხრათ. მე ამაღამ ისეთი კაცი უნდა ვნახო, ისეთი ახლობელი...

„ქ ო ნ დ ა რ ა“. (გამქირდავად) ალბათ „ნაშა“, ტო!

ზ ა ზ ა. (აფეთქდა) შენ, ეი, მოთმინებასაც საზღვარი აქვს!

„ქ ო ნ დ ა რ ა“. არ მეგონა, თუ ასე გეწყინებოდა... მაგრამ არ არის ლამაზი... როგორი სახელი და „პრავა“ გაქვს.. გაიგებენ და ხო იცი...

ზ ა ზ ა. რას ჩამაცივდი?!

„ქ ო ნ დ ა რ ა“. არ წამოხვალ და... ჩვენ წავალთ.. ხომ წამოხვალთ, ბიჭებო?

(უცებ შეკრთნენ).

„ც ქ ი ფ ა“. ვიღაცა მოდის!

ზ ა ზ ა. წადით, მომშორდით!... კარგი, მე მოვალ...

(ყველანი მიიმალნენ. ეზოში შემოდის ლევანი. ზაზა წინ დაუდგა)

ბატონო ლევან!...

ლ ე ვ ა ნ ი. (შეკრთა) ზაზა!..

ზ ა ზ ა. ისევ მოულოდნელი შეხვედრა, არა?!

ლ ე ვ ა ნ ი. კოლონიიდან გამოიქეცი?

ზ ა ზ ა. დიახ.

ლ ე ვ ა ნ ი. ჰო...

(პაუზა).

ზ ა ზ ა. მე მინდა ერთი თვალი მოვკრა იმ ადამიანს, ვისთვისაც ამდენი ვაივაგლახი გადავიტანე... მხოლოდ ერთხელ მოვკრა თვალი, ხოლო მერმე...

ლ ე ვ ა ნ ი. მერე რა?!

ზ ა ზ ა. მერმე, მერმე არ ვიცი რას ვიზამ!.. მითხარით, სად ცხოვრობს მამა?

ლ ე ვ ა ნ ი. წამოდი სახლში!

ზ ა ზ ა. სახლში? არა, არ არის საჭირო... იყავით ადამიანი, მითხარით. სად ცხოვრობს?

ლ ე ვ ა ნ ი. იქვე, საავადმყოფოში... მაგრამ გუშინაც არ გითხარი, იმიტომ, რომ ახლა შეუძლებელია შენი მასთან შეხვედრა...

ზ ა ზ ა. რატომ?

ლ ე ვ ა ნ ი. ზაზა... საკონცენტრაციო ბანაკმა იგი ავად გახადა. გული... შენი ნახვა მისთვის მოულოდნელი იქნება და უთუოდ ვერ გადაიტანს... ორი შეტევა უკვე ჰქონდა...

ზ ა ზ ა (გაოგნებულია) რას ამბობთ?

ლ ე ვ ა ნ ი. ამიტომაც მინდოდა, მე შემეტყობინებინა, ნელნელა შეჩვეოდა შენს...

ზ ა ზ ა. გასაგებია... (პაუზა) შებრძანდით სახლში.

ლ ე ვ ა ნ ი. მე უშენოდ აქედან ფეხსაც არ გადავდგამ!

ზ ა ზ ა. შებრძანდით მეთქი!..

ლ ე ვ ა ნ ი. დედაშენს რა ვუთხრა, ბიჭო?!

ზ ა ზ ა. არაფერი... (თავისთვის) მაშასადამე, მე მას, ჯერჯერობით, ვერ ვნახავ.. (ლევანს) დედაჩემსაც ნუ ეტყვით!

ლ ე ვ ა ნ ი. მაგის პირობას უკვე ვერ მოგცემ!

ზ ა ზ ა. როგორც გენებოთ!... ნახვამდის!..

ლ ე ვ ა ნ ი. სად აპირებ წასვლას?

ზ ა ზ ა. მე?! მე ყოველთვის იქ ვბრუნდები, საიდანაც ახლა მოვედი!.. მშვიდობით! (ლევანი დგას), შებრძანდით სახლში, მე მანამდე აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი!

ლ ე ვ ა ნ ი. (გულდაწყვეტით) კარგი, რა გაეწყობა, წავალ!

(ლევანი შედის სახლში, უცებ საიდანღაც „სუსლიკი“ გამოძვრა).

„ს უ ს ლ ი კ ი“. წამოხვალ თუ არა?!

ზ ა ზ ა. (თავისთვის) ისევ ჩაიკეტა გზები!..

„ს უ ს ლ ი კ ი“. რას ამბობ?!

ზ ა ზ ა. (ჩუმად) ახლა ჩემთვის სულერთია... სადაც გინდა, იქ წამიყვანე... და ამაღამვე გავქრები აქედან! შენ წამოხვალ ჩემთან?

„ს უ ს ლ ი კ ი“. თუნდაც ჯანდაბაში!

ზ ა ზ ა. წავიდეთ! (შეჩერდა) თუმცა...

„ს უ ს ლ ი კ ი“. რა გინდა?

ზ ა ზ ა. იქ რომელ საათზე უნდა ვიყოთ?

„ს უ ს ლ ი კ ი“. ორი საათის შემდეგ.

ზ ა ზ ა. წავიდეთ!

(მიდიან. ბნელდება).

ნათდება. ნინოს ოთახი. ნინო და ლევანი.

ნ ი ნ ო. კიდევ კარგი, რომ არ დააგვიანე!

ლ ე ვ ა ნ ი. შენ, ალბათ, დაიღალე ლოდინით!

ნ ი ნ ო. მიჩვეული ვარ!

ლ ე ვ ა ნ ი. აბა, მოვემზადოთ!

ნ ი ნ ო. ყველაფერი მზად არის!

ლ ე ვ ა ნ ი. დღეს საოცრად ცივა!

ნ ი ნ ო. შენ რა, ქუჩაში იდექი?

ლ ე ვ ა ნ ი. არა. (პაუზა. შემდეგ მიდის კარადასთან. აიღო შამპანურის ჭიქა და მაგიდასთან მდგარ ორ ჭიქას მიუდგა. საათმა ნელა თორმეტი დარეკა. ლევანმა სამივე ჭიქა გაავსო, აიღო თავისი ჭიქა, მეორე ნინოს გადასცა. კოცნის.

მომილოცნია ახალი წელი!

ნ ი ნ ო. (აჩერდება გაფითრებულ ლევანს, პაუზის შემდეგ) რა ამბავია, ლევან?! ეს მესამე ჭიქა რას ნიშნავს?!

ზ ა ზ ა ს ხ მ ა. დედა, მომილოცნია ახალი წელი!

ნ ი ნ ო. ადამიანის ფერი არ გადევს სახეზე!... მითხარი, რა მოხდა?!

ლ ე ვ ა ნ ი. დამშვიდდი... არაფერია, არაფერი!..

ნ ი ნ ო. იცოდე, მე არაფერი არ მომივა... გესმის, მე ვხვდები, შენ რისი თქმაც გინდა...

ლ ე ვ ა ნ ი. არაფერი მეთქი, ნინო!..

ნ ი ნ ო. არ ამბობ სიმართლეს... გუშინდელს აქეთ ველარა გცნობ, რაღაც გაწუხებს და ველარ გითქვამს... მე ყველაფერს ვკითხულობ შენს სახეზე....

ლ ე ვ ა ნ ი. იყო რაღაც...

(გაჩერდა).

ნ ი ნ ო. შენ ჯერ ჩემთვის სიცრუე არ გითქვამს... მითხარი, რა მოხდა?! რაღაც უბედურებაა ჩემს თავს...

ლ ე ვ ა ნ ი. დამშვიდდი, ყველაფერს გეტყვი... გუშინ ზაზა ვნახე.

ნ ი ნ ო. რას ამბობ?!

ლ ე ვ ა ნ ი. ვნახე შრომა-გასწორების კოლონიაში...

ნ ი ნ ო. ღმერთო ჩემო. შვილი პატიმარია... რისთვის?

ლ ე ვ ა ნ ი. მიმძიმს, ძალიან მიმძიმს თქმა, მაგრამ მეტის ატანა არც მე შემიძლია, — გუშინდელს აქეთ ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ. ზაზა ქურდია....

ნ ი ნ ო. ხომ ცოცხალია! დედის გულს მეტი არა უნდა რა, მოიხდის სასჯელს და დაკარგული შვილი დამიბრუნდება!

ლ ე ვ ა ნ ი. ნინო, რადგან უკვე ყველაფერი ითქვა...

ნ ი ნ ო. (შეშფოთებული) შენ კიდევ იცი რაღაცა და მალავ!.. მითხარი, ლევან, ბარემ ერთბაშად მომკალი!...

ლ ე ვ ა ნ ი. იგი წელან აქ იყო...

ნ ი ნ ო. სად, ადამიანო?!

ლ ე ვ ა ნ ი. აქ, სახლში...

ნ ი ნ ო. ღმერთო, ჭკუიდან ნუ შემშლი!

ლ ე ვ ა ნ ი. მე იგი წელან ვნახე. კოლონიიდან გამოქცეულა და როცა გაიგო მამამისის ავადმყოფობა, მთხოვა არავისთვის, არც შენთვის არ გამემხილა მისი არსებობა.

ნინო. (რაღაც გადაწყვატა). ახა, წაიდეთ!..

ლევანი. სად, ნინო?!

ნინო. ზაზა უნდა მოვიტანო! (ადგა, სასწრაფოდ პალტო მოისხა) წაიდეთ, ჩქარა წაიდეთ... შვილი მეძახის, შვილი!

ლევანი. მერე შენ გაგონია, ვიპოვნით?!

ნინო. მე დედა ვარ, ლევან, გამწარებული დედა!... ამდენ მთელ ქალაქს გადავაბრუნებ, ქვეყანას შევძრავ, ქვეყნელში ჩავალ და მაინც ვიპოვნი!...

ლევანი. (მანაც ჩაიცვა) წაიდეთ!

ნინო. მე წყვილი, ყოველთვის მწყრალი, რომ იგი ცოცხალი იყოს!..

(თმააწუწკნილ ნინო გარბის. მას მისდევს ლევანი. ზამთრის ქარი წვიის, რომელსაც უერთვება საფარეტპიანო კონცერტის შთაბეჭდავი ჰანგები).

* * *

საიუველირო მაღაზიის ფასადი. ვეება ჭურჭში გამოხვეული მოხუცი ღამის დარაჯი ზის მაღაზიის წინ და ხელში ჩაჭრილი ყალიონი უკბინავს. ღამის ორი-სამი საათი იქნება. არ თოვს, მაგრამ მთელ ქალაქი თოვლის საშოსერთქვა გადაეფინა. შორიდან ხმაშეწყვეტილი სიმღერა მოისმის. შემოდიან ზაზა და „სუსლიკო". ტანთაბალ, ოდნავ ნასვამები არიან.

ზაზა. ან, ბედავ... ზის თავისთვის და დარაჯობს... დღეს ყველა ქეიფობს, დროს ატარებს... ამ მოხუცის და ჩვენს გარდა. (პაუზა) შენ როგორ გგონია, დაბდება ისეთი დრო, როცა ეხენი ხალხივით არ იქნებიან?!

(დარაჯზე მიუთითა).

„სუსლიკო". რას ამბობს?! ვიღრე ჩვენ ვართ, ესენიც იქნებიან!

დარაჯი (მათ არ ამჩნევს, თავისთვის) ...კარგა ხანია ახეთი თოვლი არ მინახავს ქალაქში... როგორ ბარდნიდა ეგ დალოცვილი... უკვე ყინვაც დაწურა... ეეჰ, მაყალი მაინც წამომეღო... გავთბებოდი... ახა, უცნაურია, მაყალს რა გაუბობა შეუძლია, მაგრამ ცეცხლს რომ უყურებ, ასე გგონია, თბებიხარ... (სიმღერა უფრო ახლო მოისმის. დარაჯმა ყური მიუგდო) ახალწლის ღამეა... ქეიფობს ხალხი... უზარიათ ახალი წლის დადგომა... უზარიათ, რომ კიდევ ერთი წელიწადი მოემატათ... მოემატათ თუ მოაკლდათ... ვინ იცის?!

(სიმღერა გიტარის აკორდებზე. ტრიო).

ახლა ეს პრისპექტი რა ცარიელია,
რუსთაველზე მივდივარ მარტოდ,
არსაით არ ეჩქარის, არსად მიმელიან,
კვლავ შენთან შეხვედრას ვნატრობ.

მთვარე ციდან მთოვს სხივებს კაშნიანს,
რა ჩუმად დუდუნებს მტკვარი,
თმაში რომ ნავარობს შენი ალერსია,
ო, არა, დღეშმრის ქარი!

მივდივარ რუსთაველზე, როგორც მთვარეული,
შენთან ვარ, შენთან ვარ ფიქრით,
ტროფის დალეული,
ღვინო დალეული,
ო, ღმერთო, საითკენ მივქრი?!

არსაით არ ეჩქარის, არსად მიმელიან,
კვლავ შენთან შეხვედრას ვნატრობ,
ახლა ეს პრისპექტი რა ცარიელია,
უშენოდ, საითკენ, მარტოდ?!

„სუსლიკო". ანგელოზები მოდიან!

დარაჯი. კარგად მღერიან, დალოცვილები, კარგად!... ღმერთმა ქეიფი შეგარგოთ, შვილებო... ღმერთმა კარგი წელი გაგითენოთ, ბედნიერი წელი! ჩემი შვილები კი, ჩემი ორი ვაჟკაცი, ორივე თვალის სინათლე, საბედნიეროდ შორს, პრესიის ცივ მიწაში განგმირულები წვანან... მეც ოცდახუთმეტი წლის წინათ აქ დავტოვე ცალი ფეხი... რატომ, რატომ?! (სიმღერა ახლა სულ ახლოს მოისმის და მისი შემსრულებლებიც გამოჩნდნენ ესენი „ჭონდარაა", „ცქიფა" და „ჯინკა" გახლავთ. თავს იმთვალთვალებენ, „ცქიფას" ხელში გიტარა აჭრაშ). ერთი მომიყვედეთ, შვილებო.

„ჭონდარაა". დაიცა, დაიცა!... (ტაბლიკეთით პირი ამოუტეხა) ახე ტაბლიკად დამბებერდი, ბიძა!...

„ჯინკა". (ასანთი მისცა) აბა, მოუკიდე!...

„ცქიფა". მრავალ ახალ წელს, ბიძა!..

დარაჯი. გმადლობთ!.. (ყალიონს უკრუტუნა) ღმერთმა კეთილი გზით გატაროთ, შვილებო!..

„ცქიფა". (ჯიბიდან კონიაკი და პატარა ჭიქა ამოაჭერინა. დარაჯს მიეძალა) აბა, ბიძა, დაილოცე!

დარაჯი. არ შეიძლება, შვილო, საგუშაგოზე ვგდგავარ!

„ჭონდარაა". მერე, რა მიხდა, ბიძაჩემო?! ახალი წელია, არ შეიძლება უარის თქმა!

„ჯინკა". ჭეელი კაცი ხარ, ეგ როგორ გეკადრება?!

დარაჯი. ნუ დამაძალებთ, შვილო, ნუ!

„ცქიფა". ეს ხომ ერთი წუთია, ბიძა, რას გიზამს?!

დარაჯი. ჩემი ხნის კაცს ერთი წუთიც ეყოფა!

„ცქიფა". დალიე ბიძა, ახალგაზრდები ვართ, ნუ გვაწუწნებ... ჩვენი ხნის შვილები გეყოლებიან!..

(აძალებს).

დარაჯი. რახან ასე მაძალებთ, რა გიუწყობა... (ჭიქა გამოართვა) ღმერთმა დაგლოცოთ, შვილებო, ბედნიერი ახალი წელი გაგითენოთ!

(სვამს).

„ჭონდარაა". აი, იცოცხლე!

„ჯინკა". გაიმოს!

ზაზა. არ მინდა ეს მოხუცი გაღუშონ... ცოდვაა...

(უხმოდ მათკენ მიდის, მიაჯუნა „სუსლიკოც").

„ცქიფა". ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

„ჭონდარაა". ხომ მთელ გითხარით, ვერ მოიცდის, მოვა-მეთქი!

„სუსლიკო". („ცქიფას") გული ცუდს მეუბნება, ბიჭებო... ხელი ავიღოთ ამ საქმეზე!

„ცქიფა". შენ რა, ხომ არ გაგიჟებულხარ?!

ზაზა. ბიჭებო, არ გვინდა ეს საქმე... წავიდეთ!...

„ჭონდარაა". ხედ უნდა წავიდეთ?!

ზაზა. უკან, კოლონიაში!...

„ჭონდარაა". ხუმრობ?!

ზაზა. წამოდი, არ წაიაგებ!...

„ჭონდარაა". კარგი, ერთი.. შენ რა, ჭკუაზე ფრაკად ხარ?! (უკანიდან მიეპარა დარაჯს, დანა ამოიღო და უნდა ჩასცეს).

ზაზა. („ჭონდარაას" მიეპარა) არ გაბედო!...

(დანა წაართვა. სხვები მიხეიცს მივარდნენ, პირი აუკრეს, შეკრეს, ზურგზე მოიკიდეს და ეზოსკენ გაეპანღნენ. ქეიფში ზაზა, „ჭონდარაა" და „სუსლიკო" რჩებიან).

„ჭონდარაა". (ზაზას) კარგია... წავედით... („სუსლიკს") შენ აქ დადექი!

ზაზა. მე არ მოვდგავარ!..

(წარმოქვეით დანა გადაადგო).

„ჭონდარაა". (დანა აიღო) კარგი ერთი... ნუ ჯანქლობ!..

ზაზა. სუსლიკ, წადექი!

„ჭონდარაა". შენ რაღაც სხვანაირად ჭიქქავებ...

ზაზა. წადი, მოციღდი!..

„ჭონდარაა". შენ რა, სიცოცხლე ხომ არ მოგიბეზრდა?! (ზაზა უყურებს და ხმას არ იღებს) იცოდე, არ მომეკარო, გაგიგორი...

(ეზოსკენ მიდის).

ზაზა. დაიცა!

„ჭონდარაა". ახლა შენი თავი არა მაქვს, მომშორდი!

ზაზა. აქ მოი... ცოტა ახლოს მოდი... მინდა შეგხედო; რაღაც ვეღარ ვცნობ!..

„ჭონდარაა". საქმე არ ჩამიგდო, თორე...

ზაზა. საქმე შენ ჩემთან გაქვს... გახსოვს კურსკის ვაგზალი?! სად მიდიხარ!

„ქონდარა“ ბიჭი... ცუდი ადგილი აგორჩეულა!

ზაზა. ეს ჩემთვის ყველაზე მოხერხებული ადგილია!

„ქონდარა“. (დანა ამოიღო). მომშორდი... სხვა დროს შეეხვედით!..

ზაზა. რა, გეშინია?!

„ქონდარა“ (ნელ-ნელა უახლოვდება, ზაზა ადგილიდან არ იძვრის) შენ რა გგავედი? (ზაზა შემოერაკა, „ქონდარა“ წაიქცა, წამოიყენა, ისევ გაარტყა. „ქონდარას“ დანა ხელიდან გაუვარდა. ზაზამ ფეხი გაჯირა დანას და იქვე მიაგდო. მოტრიალდა და მიდის. წყვეტილი „ქონდარა“ მიყოლობას დანებდება. აღელა).

„ხუნლიკი“. (დანანება და მიეხვედა განზრახვას, ფუყირა) ბიჭო!..

(ზაზა უცბად მოტრიალდა, „ქონდარამ“ დააწრო და მუცელში გაუყარა დანა)

ზაზა. (მუცელზე ხელი ატაცა) აააჭ..

უეცრად გაისმის მანქანის დამუხრუჭების ხმა. სცენაზე შემოიჭრებიან ნუგზარი და ოპერატიული მეშველები. „ქონდარამ“ და „სოსლიკამ“ ხელები ასწიეს. გამოსვლი სხვებიც. ბნელდება).

საავადმყოფო. საოპერაციო ოთახის დერეფანი. თვლებიანი საკაცით სანიტრებს შემოჰყავთ ზაზა. მათ უკან მოდიან ნუგზარი და ნაცემი დარაჯი. ნუგზარის ტანსაცმელის ზემოდან თეთრი ხალათი ჩაუცვამს. ზაზა და ღამის დარაჯი საოპერაციო ოთახში შეიყვანეს. ნუგზარი შეიერცა და დერეფანში ძმიმედ წინ და უკან დადის. საოპერაციო ოთახიდან გამოეყიდა არჩილის ასისტენტი — თამარი, ტელეფონთან მივიდა და ნომერი აკრიფა.

თამარი. ბატონი არჩილი ბრძანდებით?

არჩილის ხმა. დიახ, მე ვარ... გისმენთ!... ეს, დღეს თქვენ მორიგეობთ, თამარ!.. მომლოცნია ახალი წელი!

თამარი. გმადლობთ, თქვენთვისაც... ბატონო არჩილ...

არჩილის ხმა. (მიეხვედა) რამე სასწრაფო შემთხვევა ხომ არ არის?

თამარი. დიახ, დიახ! ავადმყოფს მუცლის არეში ღრმა ჭრილობა აქვს... ბევრი სისხლი დაუკარგავს....

არჩილის ხმა. ნუთუ არ შეიძლებოდა ეს ღამე მაინც ყოფილიყო მშვიდობიანი?!

თამარი. გთხოვთ, სასწრაფოდ მოხვიდეთ!

არჩილი. მოვბრძანდი... ახლავე მოვალ!

(თამარი ყურმილს ჩაკიდებს).

ნუგზარი. (თამარს) როგორ გგონიათ, გადაიტანს?!

თამარი. ეს ავადმყოფება დამოკიდებულია!..

ნუგზარი. ვინ გაკეთებს ოპერაციას?

თამარი. ქირურგი რაზმაძე.

(ჩადის).

ნუგზარი. (მიდის ტელეფონთან, ნომრები აკრიფა) ალო!.. ნინო, ბოდიშს ვიხდი, რომ ახე გაგიან გაწუხებთ... თუ შეიძლება ლეონას სთხოვეთ!..

ნინოს ხმა. ახლავე!

ლეონის ხმა. გისმენთ!

ნუგზარი. ლეონ, ეს მე ვარ, ნუგზარი... არ გაგიკვირდეს, რომ ახე უდროო დროს გაწუხებ.... ერთი ამბრი მომივიდა თავში.. შენ მგონი იცნობდი...

ლეონის ხმა. „სტუდენტზე“ მეუბნები“!

ნუგზარი. ჰო...

ლეონის ხმა. ვიცი, რომ გაიქცა...

ნუგზარი. იცი?!

ლეონის ხმა. ჰო, ის ჩემთან იყო!..

ნუგზარი. როგორ?! რა დროს?

ლეონის ხმა. ამაღამ... ახე თორმეტი საათი იქნებოდა. გენშის ჩემი?

ნუგზარი. ჰო, მენშის!

ლეონის ხმა. ჩვენ ბამს ვეძებთ... ის ძალიან მჭირდებას.

ნუგზარი. ვერ გავიგე, რას მელაპარაკები... როგორ თუ გჭირდება?

ლეონის ხმა. თუ რაიმე იცი მის შესახებ, მითხარი!

ნუგზარი. მე ეხლა საავადმყოფოში ვარ... ეს ამბავი ძმიმედაა დაჭრილი... გენშის, მე ახლა მეორე საავადმყოფოდან გი რეკავ... ოპერაციას ქირურგი რაზმაძე აკეთებს...

ლეონის ხმა. რაზმაძე?!

(შემოდის თამარი).

თამარი. (ნუგზარს) ამბანაგო, ნუ ბმაურობთ... ჩამოცდეთ ყურმილით!

(ნუგზარი ჩუდებს ყურმილს, შემოდის არჩილი).

თამარი. უკვნთვალა... დროზე მოხვედით... მობრძანდით!

არჩილი. კეთილ!..

(არჩილი და თამარი შედიან საოპერაციო ოთახში, იქიდან გამოდის დამარაჯი. ნაცემი სახე შეეხვეიეთ).

დარაჯი. უფროსო, როგორ გგონიათ, გადაიტანს?

ნუგზარი. რა თქვი?

დარაჯი. ეს ყმაწვილი გადაიტანს?

ნუგზარი. ეს ალბათ, მაგაზეა დამოკიდებული!...

დარაჯი. ეეჰ, კარგი ჭელით ჩანს... ცოდვა მაგის სიკვდილი!..

ნუგზარი. შენ რაო, გეცოდება?!

დარაჯი. მეცოდება, მა რა?! ეტყობა, ძალით წამოიყვანეს...

ნუგზარი. შენ ახე გგონია?! რაზე შეიტყევ?!

დარაჯი. რომ იცოდე, უფროსო... მაგას ჩემთან ხელი არ დაუკარგებია, პირიქით, გადამარჩინა!

ნუგზარი. ჰო, ვიცი...

(პაუზა. ტელეფონთან მივიდა, ნომერი აკრიფა, შემდეგ შეამჩნია საოპერაციო ოთახის კარების თავზე წარწერა „მიმდინარეობს ოპერაცია“ და შეჩერდა, ყურმილი დაკიდა).

სჯობია ოპერაციის მერე დავრეკო!...

დარაჯი. უნდა დაიბრუნო?

ნუგზარი. ჭოპ!..

დარაჯი. რა დაამავა მაგ ბიჭმა?

ნუგზარი. რა დააშავა?! (პაუზა) ჭურდია...

დარაჯი. ეეჰ... ალბათ თავის დროზე ვერ უპატრონეს, თორემ ასეთი...

ნუგზარი. შვილები გყავს?

დარაჯი. მყავდა... ახლა კი აღარ მყავანან... ომში დამეღუპნენ... უფროსი (საოპერაციო ოთახისკენ მიეთითა, ზაზას ვულისხმობს) აი, ამის ცბილი იქნებოდა, როცა ფრონტზე წაიყვანეს... (პაუზა) უფროსო, ეს ბიჭი თუ ახეა გადარჩა, ჯურღმას თავს გაიგებებს!

ნუგზარი. შენ ხალიან იცი?

დარაჯი. გუშანინ ვხვდები... ნამდვილი კაცი გამოვა..

(ვამოლის თამარი).

თამარი. გთხოვთ წაბრძანდეთ! აქ გაჩერება არ შეიძლება.

ნუგზარი. მე ავადმყოფის ბედი მაინტერესებს... მდგომარეობა ხაშენდოა?

თამარი. ვერაფერს გეტყვით... ხვალ დამიკვშირდით... ახლა კი. გთხოვთ მობრძანდეთ!

ნუგზარი. აქ ახლოს სხვა ტელეფონი არ არის?

თამარი. როგორ არა, შემოსასვლელთან...

ნუგზარი. კეთილი... ეკიმო, გადაარჩინეთ ის ბიჭი...

თამარი. მობრძანდით... ჩვენ მას არაფერს დავაკლებთ!

ნუგზარი. კარგი, კარგი... ნახვამდის!

დარაჯი. გმადლობთ, შვილო!.. კარგად იყავით, კარგად!..

ნუგზარი. წავიდეთ, მოხუცო... მე მოგიყვან სახლში.

(ორიენი გადიან. შემოდის არჩილი. იგი ძალზე დაფექრებულია).

არჩილი. (პაუზის შემდეგ) თამარ, თქვენ როგორ გგონიათ, ოპერაციამ კარგად ჩაიარა?!

თამარი. დიახ... დარწმუნებული ვარ, რომ კარგად!..

არჩილი. თქვენ ვერაფერი შეამჩნიეთ?

თამარი. ვერა... რაზე მეკითხებით?!

არჩილი. დღეს მომივიდა ისეთი რამ, რაც მთელი ჩემი მუშაობის მანძილზე არ მომხვედრია!

თამარი. მე არაფერი შემიმჩნევია, თქვენთვის ჩვეულო პროფესიული აუღელვებლობის გარდა!

არჩილი. ახა, დღეს მე ხელები მოკაკლებოდა... ისე, როგორც პრესელად... როცა პრესული ოპერაცია გვკეთდება...

თამარი. თქვენ არაჩვეულებრივი ადამიანი ხართ!

არჩილი. ნუთუ თქვენ მოყალეობად მიგაჩნიან, ყოველთვის სასიამოვნოა მოთხოვნა?!

თამარი. მე სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ...

არჩილი. ჰო, მართლა... თქვენ როგორ თქვით, — რა გვარია ავადმყოფი?

თამარი ნათაძე.

არჩილი. დაბადების წელი არ გახსოვთ?

თამარი. თუ არა ვცდები... 1931... შემიძლია დავაზუსტო...

არჩილი. გთხოვთ, დაზუსტით.

თამარი. ახლავე!

(გადის).

არჩილი. (თავისთვის) ნათაძე... დაბადებული თბილისში. ათასცხრაას ოცდათორმეტ წელს... (ტელეფონის ზარი. მიდის. იღებს ყურმილს) გისმენთ!

ნინოს ხმა. არჩილ, შენ ხარ?

არჩილი. ნინო?!

ნინოს ხმა. ჰო, მე ვარ, არჩილ!..

(არჩილმა ყურმილი დაიდო, შემოდის თამარი, ხელში ავადმყოფის ისტორია უჭირავს).

თამარი. თბილისი... ათას ცხრაას ოცდათერთმეტი წელი.

არჩილი. კეთილი, კეთილი... თქვენ როგორა თქვით?!

თამარი. რაზე მეკითხებით?!

არჩილი. არაფერი, არაფერი... გთხოვთ შეამოწმოთ ავადმყოფის სარეთო მდგომარეობა...

თამარი. ახლავე!

(გადის. ტელეფონის ზარი. არჩილი იღებს ყურმილს).

არჩილი. დიახ!..

ნინოს ხმა. არჩილ, მე გელაპარაკები... უნდა მომისმინო უბედურებაა ჩვენს თავს...

არჩილი. რა სთქვი?! უბედურება! რა უბედურება?!

ნინოს ხმა. ჩვენი შვილი... საავადმყოფოშია!..

არჩილი. საავადმყოფოში?!

ნინოს ხმა. მანდე, შენთან, გესმის, შენთან!

არჩილი. დაიცა, დაიცა... გასაგებად მითხარი... ვერ გავიგე.. რას ამბობ?!

ნინოს ხმა. ჩვენი შვილია შენთან, ზაზა...

არჩილი. როდის... ვინ მოიყვანა... რა მოუვიდა?!

ნინოს ხმა. ახლა... ნახევარი საათის წინ... შენთან დაჯრილი მოუყვანიათ...

არჩილი. ამ ნახევარი საათის წინ?! ჩვენთან დაჯრილი ასეთი არავინ მოუყვანიათ!..

ნინოს ხმა. (ლუვანს) ლევან, გესმის... ასეთი არავინ მოუყვანიათო!

არჩილი. რაო... რა თქვი?!..

(შემოდის თამარი).

თამარი. რა ამბავი, ბატონო არჩილ?!

არჩილი. გთხოვთ, ერთი წუთით დამტოვოთ...

(ყურმილს იღებს ლევანი).

ლევანის ხმა. არჩილ, მე გელაპარაკებით!

არჩილი. გისმენთ!..

ლევანის ხმა. თქვენი შვილი, ზაზა, ამ ნახევარი საათის წინ მოიყვანეს თქვენთან, დაჯრილი... მოგონილი გვარით... ნათაძე... კოლონიიდან გამოქცეული... დედამისს ვერ ვაკავებ... ჩვენ აქვე ვართ... საავადმყოფოში, შემოსასვლელთან.

არჩილი. მობრძანდით... (ყურმილი ხელიდან გაუვარდა. მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. სოხუმრელთა ოთახიდან თელეფონი საცაცით გამოსულან ზაზა. არჩილი მივარდა მას) თამარ... გესმით... ეს ჩემი შვილია, ზაზა... აკი გეუბნებოდით, ხელი მოკაკლებოდა მეთქი.

თამარი. შვილი?

არჩილი. ჰო, თამარ, შვილი, შვილი!

თამარი. დამშვიდდით, ბატონო არჩილ!..

არჩილი. გთხოვთ თვალები გაუხილოთ. ის ჩემი შვილია... ის უთუოდ მიცნობს...

თამარი. ბატონო არჩილ, გთხოვთ, დაწუნარდით... ნუ შეხედავთ ავადმყოფს.. არა, არა თვალს ვერ გაუუხელთ... მას ნარკოზი აქვს მიღებული. (სანიტრებს) პალატში შევიყვანოთ... ფრთხილად, ოღონდ ფრთხილად...

არჩილი. კეთილი, კეთილი... ვიცი, რომ არ შეიძლება... (შემოდიან ნინო და ლევანი. ნინო გაშრალი, უხმოდ მიდის ზაზასთან) ნინო, არ შეიძლება, მას ნარკოზი აქვს მიღებული... (პაუზა) მიუხედავად მთელი ჩემი ცხოვრების უკუღმართობისა... მაინც ბედნიერად ვთვლი თავს, რომ კიდევ დამრჩა ძალა, ადამიანებს ვიცოცხლე შევუნარჩუნო... (წამართმევს. თამარა სკამი მიაშველა... იგი ერთ წერტილს უყურებს, თითქოს რაღაცას იგონებსო) შეიჭედით, ცოტა ხანს, პალატში ნუ შეიყვანთ!

თამარი. (ჩურჩულით) ბატონო არჩილ...

არჩილი. მა, არაფერია... გაიელის... (ადგა) მე დღემდე გავუძელი ყოველდღიურ უბედურებას, ყოველდღიურ სიავეს და.. ვიდრე ცოცხალი ვიყავი... ვიყავი პატიოსანი კაცი... (მიდის ზაზასკენ) ჩემი შვილი კი... მომეცით, დამიბრუნეთ ჩემი შვი.. (ზაზამდე ვერ მიაღწია, მარცხენა ხელი გულთან ატაცა და მოწყვეტით დაეცა. თამარი და ლევანი მიეპარნენ. მაჯა, გული გაუსინჯეს).

თამარი. ბატონო არჩილ... ბატონო არჩილ... (პაუზის შემდეგ ჩურჩულით) ალარ არის!..

ზაზას ხმა. (ოდნავ თავი შეარხია, მისუსტებული) მამა... დედა... მე დავბრუნდებით...

(ბნელდება).

ეპილოგი

ისევ პირველი სურათი. ზაზა ჩემოდნით ხელში სახლისკენ მიდის, უკან „სუსლიკი“ მიჰყვება. შეჩერდა. ნინო როიალს უზის და არჩილის საყვარელ მელოდიას უკრავს. სავარძელში ზის ლევანი, ჩაფიქრებული. ხელში წოთელი ყელსახვევი უჭირავს, თითქოს ეფერებაო. საიდანაც პატარა ზაზა გამოჩნდა. ყელსახვევი ლევანს გამოართვა და გაიკეთა, შემდეგ გაბრწყინებული სახით მიდის და კარს უღებს თავის ორეულს, — დიდ ზაზას. ნინო განაგრძობს დაკვრას.

ზაზა. დედა... დედა...

ნინო. (მოკმას ძახილი, დაკვრა შეწყვიტა. აღგა) ზაზა...

ზაზა. (ცარა შეაღო) დედა.., ბატონო ლევან... მე დავბრუნდი!

(გახარებული ნინო და ლევანი ეგებებიან ზაზას, შორიახლოს დგას გახარებული პატარა ზაზა და იცინის, იცინის) ბედნიერი სიცილით, ხოლო „სუსლიკ ბრავით“ დერეფანში ჩემოდნის ბეჭდზე თავისთვის ჩამომდგარა და ისიც საერთო სიხარულს ცრემლებს ჩუმად იზღაურებს).